28/05/2026

MES 7 26 0000633435

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 15 მაისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83070355504
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ნანა მონიავა
თინათინ მეფარიშვილი
მანანა მახარაშვილი
შოთა კოჩაძე
დავით კუპატაძე
ანა მექანარიშვილი
ეკა ბუთხუზი
ხათუნა ჩომახიძე
ვერიკო ჭიღლაძე
თაბუკა ციმინტია
ტიტე ბოლქვაძე
ზაზა პაპიძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „ლაკადა"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – თეანა ქუხილავა
ხარისხის მართვის მენეჯერი – თამარ მანია

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2"
დირექტორი - თამარ ზაქარაშვილი
ფინანსური მენეჯერი - კონსტანტინე ქავთარაძე
ლოკალური მენეჯერი (ვალეს ლოკაციაზე) - თამარ კელაპტრიშვილი
სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (ვალეს ლოკაციაზე) - თამარ ხალაძე
ხარისხის მართვის სპეციალისტი - თეონა მუმლაძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
კოლეჯის დირექტორი – მანანა მოისწრაფიშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი – შოთა მარგიშვილი
სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი – ირმა არსენაშვილი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

კოლეჯის დირექტორი – სოფიო სუხიშვილი
კოლეჯის ხარისხის მენეჯერი – ნინო დვალი
სტომატოლოგის ასისტენტის პროგრამის ხელმძღვანელი – მედეა მანველიშვილი

სსიპ კოლეჯი ბლექსი
დირექტორი – გიორგი გოგიტიძე
დირექტორის მოადგილე – მაია თოიძე
ხარისხის განვითარების მენეჯერი – ბიძინა კირთაძე
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი – მირანდა გორგილაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის კონსტრუქტ2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროობა" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ "ლაკადას'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი", "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", "სავაგონო მეურნეობა", "სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა", "რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", "სარელსო დეფექტოსკოპია", "სარკინიგზო გადაზიდვები" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. იგი ეხებოდა მიმდინარე წლის 24 აპრილის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „გეოგლობალ აკადემიის“ მიმართ ჩანიშნული მონიტორინგის ვადების კორექტირებას. მან საბჭოს შეახსენა, რომ მონიტორინგი დაწესებულებას განესაზღვრა მეორე სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3 და 2.4

კომპონენტებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ვეტერინარია (ბოლნისი), საფინანსო სერვისები (მარნეული და ბოლნისი), საბაჟო საქმე (მარნეული და ბოლნისი), აგრეთვე მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტში, რომელიც მოიცავდა მატერიალურ რესურსს, მდგრადობას, სახანძრო უსაფრთხოებასა და ინფრასტრუქტურას. ნანი დალაქიშვილის განმარტებით, მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტაციის გამოთხოვა და ცენტრის მიერ შესწავლილი მასალების საბჭოსთვის წარდგენა. წინა სხდომაზე დაწესებულების მხრიდან დაფიქსირებული პოზიციის გათვალისწინებით, ოქმში ჩაიწერა დოკუმენტაციის „უმოკლეს პერიოდში“ წარმოდგენის ვალდებულება. თუმცა, შემდგომი კომუნიკაციისას გაირკვა, რომ აღნიშნული ტერმინი დაწესებულების მიერ განიხილებოდა რამდენიმე თვის ჭრილში, მაშინ როდესაც მათ მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში საბოლოო ვადად 1-ლი სექტემბერი იყო მითითებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის წარმომადგენელმა მოითხოვა ზუსტი თარიღის დადგენა და სხდომაზე მოწვეულ დაწესებულების ხელმძღვანელობას სთხოვა მიმდინარე სტატუსისა და კონკრეტული ვადის დასახელება. საკითხთან დაკავშირებით პოზიცია გამოხატა შპს „გეოგლობალ აკადემიის“ დირექტორმა, გიორგი კვარაცხელიამ. მან აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმაში ხანგრძლივი ვადის მოთხოვნა განპირობებული იყო სახანძრო უსაფრთხოების საკითხების მოგვარების საჭიროებით, რაც მოცემული მომენტისთვის პრაქტიკულად უკვე გადაჭრილი და მოწესრიგებულია. დაწესებულების დირექტორმა გამოხატა მზაობა, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვროს მიმდინარე წლის 27 მაისი.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის კონსტრუქტ2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს და საბჭოს წევრს, გოგიტა მშვენიერაძეს ჰქონდათ თვითაცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის N233664 ბრძანებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ "კონსტრუქტ2"- ში განხორციელდა მონიტორინგი, პსდ-ის საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროობა", დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა), ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. მონიტორიგი განხორციელდა 2026 წლის 10მარტს, მისამართზე: ქ. ვალეში, სტალინის ქუჩა № 18. პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებამ მოიპოვა რეავტორიზაციის ფარგლებში (გადაწყვეტილება #602945, 30.05.2025), ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საფუძველზე, შეიცვალა პროგრამის პარამეტრები. შესაბამისი ცვლილებები დამტკიცებულია პსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (#1052607, 02.09.2025, ძალაში შესვლის თარიღი 15.08.2025). ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. შენობაში ფაქტობრივად სარემონტო სამუშაოები დასრულებულია. ზემოთ აღნიშნულ აუდიტორიებსა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გამოყოფილ ოთახებში, განთავსებულია ავეჯი, ინვენტარი. დამონტაჟებულია ლიფტი, მოწყობილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემა (მათ შორის ხანძრის ავტომატური ქრობის სისტემა). ობიექტზე მიმდინარეობს დასკვნითი სარემონტო სამუშაოები, ხოლო გარე ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. დათვალიერებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ განხორციელებისთვის მოწყობილი აუდიტორიები, რომლებიც შესაბამისია საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების.

ექსპერტთა მიერ სამივე კომპონენტი (2.1 (ბ.ა), 2.2 (ბ.ბ), 2.4 (ბ.დ)) შეფასდა როგორც შესაბამისი, გაიცა 1 განმავითარებელი რეკომენდაცია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ასახვისა და დადგენილი შიდა მექანიზმების შესრულების შეფასების მიზნით, სრულყოფილად მოახდინოს ინფორმაციის დოკუმენტირება.

პროფესიულ სტუდენტთა დაკავშირებით აღინიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს, 40 პირს საიდანაც ამჟამად აქტიური სტატუსი აქვს 18 სტუდენტს, 4-ს შეჩერებული აქვს, ხოლო 1 პირს შეწყვეტილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2024 წლის ნაკადიდან სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებიდან ორმა პირმა აღიდგინა სტატუსი და 2025 წელს ჩარიცხულ 16 სტუდენტთან ერთად დაიწყო სწავლა დისტანციური ფორმით. ექსპერტთა ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა აუდიტორიაში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით ითქვა, რომ პროგრამის სახელწოდება არის „ელექტროობა“, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში. სწავლების ფორმა კოოპერაციულია, განხორციელების ადგილი კი არის ქ. ვალე სტალინის ქ. №18. მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 66 კრედიტით და გრძელდება 51 კვირა, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ქართული ენის სავალდებულო მოდულის გათვალისწინებით, შეადგენს 81 კრედიტს და მოიცავს 61 კვირას, სადაც საშუალო კვირეული დატვირთვა აუდიტორული სწავლებისას 33 საათს შეადგენს.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შეფასდა შესაბამისობით, რადგან დაწესებულების გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზს, რომელმაც აჩვენა ელექტროობის მიმართულების სპეციალისტებზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნა სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ სექტორებში, მათ შორის ახალციხის მუნიციპალიტეტში. ეს გადაწყვეტილება სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, რაც აკმაყოფილებს ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტს, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება ხდება შიდა მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, სამუშაო ადგილებსა და განმახორციელებელი პერსონალის რესურსს. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსსა და მისანიჭებელ საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ელექტროობაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების შემოწმებისას დადასტურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული შესაბამისობა, ვინაიდან ვალეს ფილიალში მოწყობილია თეორიული კომპონენტისთვის განკუთვნილი 20 ადგილიანი A გარემო, რომელიც ინტეგრირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების B გარემოსთან და აღჭურვილია ლეპტოპებითა და სადემონსტრაციო ტექნიკით, ასევე მოწყობილია დარგობრივი C გარემო სიმულაციური სტენდებით, ინსტრუმენტებითა და უსაფრთხოების ნიშნებით. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, სასწავლო პროცესს უძღვება 13 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 9 ასწავლის ზოგად, ხოლო 4 პროფესიულ მოდულებს. პერსონალის შერჩევა და დატვირთვა სრულად შეესაბამება შრომის კანონმდებლობას და არ აღემატება დადგენილ ნორმებს, ხოლო მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის მართვაში. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით სპეციალურ ჯგუფებში, ხოლო ინკლუზიური განათლების კუთხით, კოლეჯს ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი და შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების აკომოდაციისა და ფართის ადაპტირების მექანიზმები. ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სამინისტროს

ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით, სადაც პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 14 სტუდენტით, რაც არსებული 18 აქტიური სტუდენტის პირობებში უზრუნველყოფს სტაბილურობას.
სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კომპონენტში ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოების პერიოდში კოლეჯმა სტუდენტთა ინტერესების დაცვითა და ხარისხის ცენტრთან შეთანხმებით სწავლება დროებით დაიწყო დისტანციურ ფორმატში Google Meet პლატფორმის გამოყენებით, ხოლო 2026 წლის 2 თებერვლიდან პროცესი შეუფერხებლად გაგრძელდა პირისპირ რეჟიმში. პროგრამა არ ითვალისწინებს ცალკეულ საწარმოო პრაქტიკის მოდულებს, თუმცა რეალურ სამუშაო გარემოში დემონსტრირებისა და სასწავლო ექსკურსიების მიზნით გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულებები სს „ენერგო პრო ჯორჯია ჰოლდინგსა“ და „ბკ ქონსტრაქშენ“-თან, რაც თითოეულ ობიექტზე ერთდროულად 20 სტუდენტის მიღებას ითვალისწინებს. შეფასების სისტემა რეგულირდება შიდა წესით, რომელიც განსაზღვრავს აპელაციის, განმეორებითი გამოცდებისა და ინფორმაციის სამი წლის ვადით შენახვის მკაფიო პროცედურებს, ხოლო სტუდენტებთან ინტერვიუებით დადასტურდა ეფექტური განმავითარებელი უკუკავშირის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კომპონენტი შეფასდა სტანდარტთან შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მნიშვნელოვანი განმავითარებელი რეკომენდაცია ვერიფიკაციის მექანიზმების სრულყოფასთან დაკავშირებით. ვინაიდან ვალეს მისამართზე განმსაზღვრელი შეფასება ჯერ არ ჩატარებულა, კოლეჯმა ნიმუშის სახით წარადგინა ზესტაფონის ლოკაციაზე განხორციელებული მოდულის, „საინჟინრო პროექტი“, ვერიფიკაციის დოკუმენტი. ექსპერტებმა მიუთითეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ინფორმაციის ასახვა არის ზოგადი, მას არ აქვს თარიღი და ვერიფიკატორთა ხელმოწერები, არ არის მითითებული ჯგუფის შექმნის განკარგულების რეკვიზიტები, ვერიფიკაციის ვადები და შემოწმებული ინსტრუმენტების მოცულობა. ასევე, დოკუმენტში არ არის იდენტიფიცირებული განათლების ვერიფიკატორი და აკლია კონკრეტული მტკიცებულებები სტუდენტთა გამოკითხვისა თუ შეფასების გარემოს შესახებ. შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნით, სასურველია დაწესებულებამ შიდა მექანიზმების შესრულების შეფასებისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით სრულყოფილად მოახდინოს ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება. კოლეჯის ადმინისტრაციამ ოფიციალური კორესპონდენციით სრულად გაიზიარა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

შიდა ვერიფიკაციის სისტემისა და ჩანაწერების სრულყოფილების შესახებ, საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, მანანა მახარაშვილს. იგი დაინტერესდა, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია გულისხმობდა პროცესის ფორმალურ ხასიათს, სადაც რეგულაცია არსებობს, თუმცა რეალურად არ სრულდება, და ხომ არ უშლიდა აღნიშნული ხელს სტუდენტთა შეფასების პროცესს. ავტორიზაციის ექსპერტმა განმარტა, რომ პროცესის სრულ გაუმართაობაზე საუბარი არ არის. კოლეჯში შიდა რეგულაციები არსებობს და ვერიფიკაცია ფაქტობრივად სრულდება, თუმცა პრობლემა მდგომარეობს შიდა ინსტიტუციური ჩანაწერებისა და ვერიფიკაციის ანგარიშების არასრულყოფილებაში. მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში ვერიფიკაციის ფორმები იდენტური და შაბლონურია. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში სისტემური ხედვები და საჭიროებები შეიცვალა, ძველი დოკუმენტების გადახედვა და პროგრამების სპეციფიკაზე მორგება არ ხდება. ექსპერტის განცხადებით, ვერიფიკაციის ანგარიშს სჭირდება მეტი სიღრმისეული მიკვლევადობა, მტკიცებულებები და ფორმალიზებული ექსპერტული შეფასება, რის გამოც

გაიცა რეკომენდაცია სისტემის გაუმჯობესების მიზნით. ნათია ბუთხუზმა დააზუსტა ექსპერტის მიერ ნახსენები ფაქტი, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებებით არ დგინდებოდა ვერიფიკატორების სტატუსი (დარგობრივი თუ განათლების სპეციალისტი). მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ვერიფიკატორები ბრძანებით კი იყვნენ განსაზღვრულნი, თუმცა თავად ანგარიშში არ იყო დაკონკრეტებული, თუ რომელი პირი რომელ მიმართულებას წარმოადგენდა. ექსპერტმა დაამატა, რომ ვინაიდან პროგრამის განხორციელების, ვალეს ლოკაციას, ჯერ არ გააჩნია წინარე გამოცდილება, მტკიცებულებად შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ ზესტაფონის ფილიალში ნაწარმოები ვერიფიკაციის დასკვნები.

დისტანციური სწავლების მონიტორინგისა და სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ, იკითხა საბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა, იგი დაინტერესდა, როგორ შეაფასეს თავად სტუდენტებმა ონლაინ რეჟიმში სასწავლო მასალის აღქმადობა და რამდენად ეფექტურად მიმდინარეობდა პროცესი. მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ დეტალურად იყო წარმოდგენილი, როგორც წინასწარი საჭიროებების მოკვლევა, ისე შემდგომი კმაყოფილების კვლევის შედეგები. ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სისტემატურად ახდენდა ელექტრონული სწავლების მონიტორინგსა და დაკვირვებას. პროგრამაზე ჩარიცხულმა 18-ვე სტუდენტმა გასაუბრებისას კმაყოფილება გამოხატა როგორც ადმინისტრაციის, ისე პედაგოგების მხრიდან გამოხატული მხარდაჭერისა და სასწავლო რესურსების ოპერატიულად მიწოდების გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა) იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“ – ში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა) იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ში (ს/კ: 430035874) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა მონიავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 5 მარტის N262445 ბრძანების (ცვლილება 2026 წლის 20 თებერვლის N200700 ბრძანებაში) საფუძველზე ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით 2026 წლის 13 მარტს განახორციელოს მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ კოლეჯში "ლაკადა'' (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2). მონიტორინგის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროცესების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისობის შეფასება მოქმედ სტანდარტებთან და ავტორიზაციის მოთხოვნებთან. სამუშაო ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ, კონსტრუქციულ და საქმიან გარემოში. დაწესებულების ადმინისტრაციამ და პერსონალმა უზრუნველყვეს პროცესის ორგანიზებული წარმართვა, ვიზიტის მონაწილეთათვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდება და შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა, რამაც ხელი შეუწყო მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად და შეუფერხებლად განხორციელებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში. ცენტრალური შენობის საერთო ფართობი 1314,14 მ²-ს შეადგენს, სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული სივრცეები, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და მოსასვენებელი ზონა. კოლეჯის მფლობელობაშია კედლისა და იატაკის სამუშაოების, ხის მხატვრული დამუშავებისა და შედუღების სახელოსნოები, ხოლო მეხილეობის პროგრამისთვის გამოიყენება 3603,00 მ² სასოფლო-სამეურნეო და 538,00 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რაც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის მდგრადობას მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ყველა სასწავლო სივრცე (A, B და C გარემო) და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია როგორც ბუნებრივი, ისე ენერგოეფექტური ხელოვნური განათების სისტემებით, ხოლო სახელოსნოებისა და საწყობის ერთიან სივრცეში ინტეგრირება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ლოჯისტიკური პროცესების წარმართვას. კოლეჯის შენობა-ნაგებობები 2024 წლის 15 ნოემბრიდან უზრუნველყოფილია ბუნებრივ აირზე გადაყვანილი ცენტრალური გათბობის უწყვეტი სისტემით, ხოლო მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში მკაცრად არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. 2025 წლის 10-12 ივნისს

განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დაასრულა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ინსპექტირებისას შესწავლილ იქნა 2025 წლის 5 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (NAT250016487) ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი №2, რომელიც გაფორმდა კოლეჯსა და ი/მ „ელდარ ჯოჯუას“ შორის. დოკუმენტით დადასტურდა ლიფტის კონსტრუქციის აღდგენა, შენობის სამივე სართულზე სველი წერტილების რეაბილიტაცია და გამიჯნული, მუდმივი წყლით, ვენტილაციითა და განათებით აღჭურვილი სანიტარული კვანძების ხელახალი მოწყობა, რაც სრულად ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის.
რესურსების მართვის, შენახვისა და განვითარების პროცესს ფინანსურ მენეჯერთან შეთანხმებით წარმართავს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. კოლეჯში ყოველწლიურად ტარდება მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, პროგრამის ხელმძღვანელების, ხარისხის მენეჯერისა და დირექტორის მოადგილის ჩართულობით, ხდება საჭიროებათა შეფასება და განვითარების გეგმის შემუშავება. სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი მომარაგება ხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებლების მიერ დირექტორის სახელზე მომზადებული სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, რაც რეგულირდება კოლეჯის 2025 წლის 20 თებერვლის №04/08 ბრძანებით. მომხმარებელთათვის სრულად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის მატერიალური და ელექტრონული ფონდები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ციფრული მასალები დამატებით ინახება მატარებლებზე და ფუნქციონირებს მოქნილი ელექტრონული კატალოგი, ხოლო თავად სივრცე აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებითა და მულტიფუნქციური პრინტერით.
პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კოლეჯში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს რეგულარულ მონიტორინგსა და ინსტრუქტაჟს. შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და ცეცხლმაქრები, ხოლო შიდა და გარე პერიმეტრის უწყვეტ კონტროლს უზრუნველყოფს ვიდეოსათვალთვალო სისტემა. დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 6 დეკემბრის №04/82 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და განსაზღვრავს ქმედებებს ხანძრის, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების დროს. კოლეჯის ყველა ლოკაციაზე ფუნქციონირებს პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, სადაც შტატით გათვალისწინებული მედდა უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროებისას 112-ის ცხელ ხაზთან კომუნიკაციას, რაც გამყარებულია 2025 წლის 27 თებერვლის №04/17 ბრძანებით. სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ მთელ პერიმეტრზე წესრიგისა და უძრავ-მოძრავი ქონების ცოცხალი დაცვის მექანიზმებით დაცვას, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფს შპს „ვიქტორია სექიურითი“. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზით, ექსპერტთა ჯგუფმა შეფასებული კომპონენტები ავტორიზაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მიიჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხარისხის შიდა მექანიზმების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ იკითხა, აქვს თუ არა კოლეჯს შემუშავებული პრევენციული მონიტორინგის

გეგმა, რომელიც სამომავლოდ გამორიცხავს მსგავსი კრიტიკული ხარვეზების განმეორებას. მაგალითის სახით მან მოიყვანა ლიფტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევა და დაინტერესდა, რა ზომებია გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემით აღნიშნული პრობლემის პრევენციისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან ლიფტის ფუნქციონირება ამჟამად აღდგენილია, პრევენციის მიზნით დაგეგმილია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება ლიფტის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით. მისივე განცხადებით, აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ უკვე მკაფიოდ არის განსაზღვრული. საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დააზუსტა, არის თუ არა ეს სამომავლო გეგმაში გაწერილი მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ლიფტის მომსახურების საკითხი მათ წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი, რათა ამ მიმართულებით პრობლემები არ შექმნილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "ლაკადაში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ "ლაკადაში“ (ს/კ: 242728679) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ცერცვაძე.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა დავით ჯინჭარაძემ.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი", "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", "სავაგონო მეურნეობა", "სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა", "რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", "სარელსო დეფექტოსკოპია", "სარკინიგზო გადაზიდვები" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დაიხ**

საბჭოს წევრებს ხათუნა ჩხარტიშვილს და ნათია ბუთხუზს ჰქონდათ აცილება. სხდომის მდივნად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭიღლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N0000330901 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების „ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი", „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", „სავაგონო მეურნეობა", „სარელსო დეფექტოსკოპია", „სარკინიგზო გადაზიდვები" და „სიგნალიზაციის ცენტრალიზციის და ბლოკირების ელექტრომექანიკა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა ვიზიტის დღის წესრიგი და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა ბრძანების შესაბამისად 2026 წლის 1-3 აპრილს (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში არსებული გარემოებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – "ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი"

„ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0716) წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ პირს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტში. პროგრამა თავდაპირველად დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის №8 ბრძანებით, ხოლო მიმდინარე მოდიფიცირებული ვერსია მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის №82 ბრძანების საფუძველზე. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, ორ ძირითად ლოკაციაზე: თეორიული და სიმულაციური კომპონენტები მიმდინარეობს კოლეჯის ბაზაზე (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10), ხოლო პრაქტიკული კომპონენტები – სს „საქართველოს რკინიგზის“ რეალურ სამუშაო გარემოში (ქ. თბილისი, თამარ მეფის №15). სწავლების ფორმაა კოოპერაციული. კრედიტების მოცულობა განსხვავდება სასწავლო გეგმების მიხედვით, კერძოდ: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული გეგმა მოიცავს 90 კრედიტს (ხანგრძლივობა 17 თვე), ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმა – 114 კრედიტს (ხანგრძლივობა 21 თვე). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, სახელმწიფო ენის მოდულის ინტეგრირებით, მოცულობა შეადგენს შესაბამისად 120 და 144 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალური ანალიზის საფუძველზე სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა 75 ადგილის ოდენობით, საიდანაც 30 ადგილი განკუთვნილია ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯში დანერგილ სამართლებრივ მეთოდოლოგიას, დაწესებულების მისიასა და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრისა და დარგობრივი საჭიროებების საფუძვლიან კვლევას, რომელიც ჩატარდა სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო თანამშრომლობით. დასაბუთებაში ხაზგასმულია დარგში არსებული გამოცდილი კადრების ბუნებრივი ასაკობრივი გადინების (საპენსიო ასაკი) ფაქტი, რაც ქმნის ახალი სპეციალისტების მომზადების სისტემურ აუცილებლობას. გარდა ამისა, მოდერნიზებული ელექტრომოძრავი შემადგენლობის პარკის ექსპლუატაცია, სამგზავრო გადაყვანების უსაფრთხოების სტანდარტები, ტვირთბრუნვის მზარდი დინამიკა და ქვეყნის სტრატეგიული როლი „შუა დერეფნის“ ფუნქციონირებაში განაპირობებს ამ პროფილის კადრებზე უპრეცედენტოდ მაღალ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არაინტეგრირებულ გეგმაზე განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულზე – საბაზო განათლება. ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურები, რომელიც მოიცავს ანკეტის შევსებას, რეგისტრაციას, შერჩევასა და რეიტინგული სიის შედგენას, სრულად უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნისა და უნარების მქონე პირთა დაშვებას. პროგრამის სახელწოდება ზუსტად შეესაბამება მის შინაარსს, მოიცავს სარკინიგზო სფეროსთვის აუცილებელ ყველა საბაზისო კომპეტენციას და არ არის შეცდომაში შემყვანი, რის გამოც აღნიშნული კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების ჭრილში, დაწესებულება ფლობს სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო ბაზას, რომელიც ოპტიმალურად პასუხობს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნებს. კოლეჯი წელიწადში ორჯერ (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღება) გეგმავს სტუდენტთა მიღებას, სადაც თითოეულ ჯგუფში ნაკადი არ გადააჭარბებს 15 პირს (არაინტეგრირებულში 15, ინტეგრირებულში 10 სტუდენტი). კოლეჯში გამოყოფილია 3 სპეციალიზებული აუდიტორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის (მეცნიერება და ტექნოლოგიები), 15 ადგილზე გათვლილი სასწავლო A გარემო (ოთახი 108) და 15 კომპიუტერით, პროექტორითა და ქსელური ტექნიკით

აღჭურვილი B გარემო (ოთახი 404). სასწავლო სივრცეებში დამონტაჟებულია თანამედროვე ციფრული ეკრანები, რომლებიც პირდაპირ გადასცემენ სპეციალიზებული სიმულატორების მიერ გავლილ სასწავლო მარშრუტებს. დარგობრივი პრაქტიკული კომპონენტების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (ხელშეკრულება №იუს/26-019), რომლის მიხედვითაც საწარმოო ბაზა უზრუნველყოფს კრედიტების არაუმეტეს 50%-ის სწავლის შედეგების მიღწევას, მატერიალური რესურსებითა და ნედლეულით მომარაგებასა და შრომის უსაფრთხოებას. პარტნიორს ერთდროულად 45 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს, რაც სრულ თანხვედრაშია კოლეჯის სასწავლო გეგმასთან.

ადამიანური რესურსების ნაწილში, პროგრამის მაღალ ხარისხსა და მდგრადობას განაპირობებს მობილიზებული 57 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 24 ახორციელებს ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 22 – დარგობრივ პროფესიულ მოდულებს. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი კვალიფიკაციური პედაგოგი, რაც უზრუნველყოფს კადრების ურთიერთჩანაცვლებას. პერსონალის უმრავლესობას წარმოადგენენ სარკინიგზო სექტორის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები და ინჟინრები. მასწავლებელთა პირადი საქმეების ანალიზით დადასტურდა მათი შესაბამისი განათლება, სამუშაო გამოცდილება და გავლილი პროფესიული განვითარების კურსები, ხოლო მათი ყოველკვირეული დატვირთვა შეესაბამება შრომის კოდექსით დადგენილ 40 საათს. პროგრამას ხელმძღვანელობს სათანადო დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც პირდაპირ კურირებს თეორიისა და პრაქტიკის შეთავსებას, მოდულების ადაპტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს ყველა საჭირო საოპერაციო, სახელფასო და მატერიალურ ხარჯს, ხოლო რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებულ გეგმაზე შეადგენს 10 სტუდენტს, ხოლო არაინტეგრირებულზე – 15 სტუდენტს.

საგანმანათლებლო რესურსები და ინკლუზიური გარემო ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო ლიტერატურა დამუშავებულია წესების დაცვით, ხოლო სპეციალიზებული პროგრამის Openbiblo-ს მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერი წერტილიდან დისტანციურად ისარგებლონ ელექტრონული მასალებით. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით. ინკლუზიური განათლების ჭრილში, კოლეჯის მარეგულირებელი წესი დეტალურად განსაზღვრავს სპეციალური საჭიროებების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სასწავლო პროცესში ინტეგრაციას, რაც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ჟესტური ენის თარჯიმნის, ასისტენტისა და მობილობის ტრენერის ჩართვას. კოლეჯის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია, აღჭურვილია უსაფრთხო ლიფტით და უზრუნველყოფს თავისუფალ გადაადგილებას. ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 1 სსსმ სტუდენტი, რომელიც წარმატებით სწავლობს და არ საჭიროებს ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემურ წესს, რომელიც მოიცავს ოთხი ძირითადი ჯგუფის – სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების პერიოდულ გამოკითხვას. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მატერიალური ბაზის, სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობის მონიტორინგს. მიღებული მონაცემების საფუძველზე მუშავდება არგუმენტირებული რეკომენდაციები, რომლებიც საფუძვლად ედება პროგრამულ ცვლილებებს ჩარჩო დოკუმენტების მოდიფიცირების ან შრომის ბაზრის დინამიკური მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივი განვითარების ციკლს.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი სასწავლო გეგმებისა და ცხრილების მიხედვით, სადაც დაცულია მოდულების ლოგიკური

თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასების ვადები. კოლეჯი მაქსიმალურად ითვალისწინებს დასაქმებული სტუდენტების ინტერესებს; უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზასთან“ კოორდინაციით, მუშა გრაფიკის მქონე პირებისთვის იქმნება სპეციალური ინდივიდუალური ჯგუფური ცხრილი, სადაც საკონტაქტო საათები ნაწილდება 4 დღეზე (3 სამუშაო დღე და შაბათი). სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები და როლური იმიტაციები. სწავლების უსაფრთხოება გარანტირებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციფიკური ნორმებით, ხოლო საწარმოო ბაზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულება ხელშეკრულებით ეკისრება პარტნიორ ორგანიზაციას.
სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. შეფასების პროცესი ეყრდნობა წინასწარ ნაცნობ კრიტერიუმებსა და მატერიალურ თუ ციფრულ მტკიცებულებებს, რომლებიც გროვდება სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო სტუდენტებს აქვთ აპელაციის სამართლებრივი უფლება. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის მყარი მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს სპეციალური ჯგუფი ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით ინტერესთა კონფლიქტის სრული გამორიცხვით. შეფასების შედეგები და განმავითარებელი უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი წინსვლისთვის, ხოლო რეკომენდაციებს სავალდებულო წესით ეცნობა საწარმოს ინსტრუქტორიც. საქმისწარმოების წესების შესაბამისად, შეფასების მტკიცებულებები ინახება კოლეჯში კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების საბოლოო ოფიციალური უწყისები – უვადოდ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ყველა კომპონენტში შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“
პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0713) წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში. საგანმანათლებლო კურსი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით, ხოლო მიმდინარე მოდიფიცირებული ვერსია მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის №81 ბრძანების საფუძველზე. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ორ ძირითად მისამართზე: თეორიული, კომპიუტერული და საბაზისო პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10), ხოლო სპეციალიზებული პრაქტიკული კურსი – სს „საქართველოს რკინიგზის“ რეალურ სამუშაო გარემოში (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 15). პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმატით. კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია სასწავლო გეგმების მიხედვით, კერძოდ: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული გეგმა მოიცავს 90 კრედიტს (ხანგრძლივობა 17 თვე), ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას, მოიცავს 116 კრედიტს (ხანგრძლივობა 22 თვე). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოცულობა შეადგენს შესაბამისად 120 და 146 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა 75 ადგილის ოდენობით, საიდანაც 30 ადგილი განკუთვნილია უშუალოდ ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ აღნიშნული პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯში დანერგილ სამართლებრივ მეთოდოლოგიას, დაწესებულების მისიასა და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ

ეფუძნება შრომის ბაზრისა და დარგობრივი საჭიროებების საფუძვლიან კვლევას, რომელიც ჩატარდა სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო პარტნიორობით. ვინაიდან კოლეჯი წარმოადგენს ქვეყანაში ერთადერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სარკინიგზო მაგისტრალების კვალიფიციური კადრებით მომარაგებას, მისი სამოქმედო არეალი მოიცავს მთელი ქვეყნის ტერიტორიას, სადაც პროგნოზირებულია მაღალი მოთხოვნა ელექტრომომარაგების სპეციალისტებზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არაინტეგრირებულ გეგმაზე განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულზე – საბაზო განათლება. ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურები, რომელიც ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობასა და შერჩევის ეტაპზე ითვალისწინებს წარმოების წარმომადგენლების ჩართულობასა და მოტივაციურ გასაუბრებას, სრულად უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნისა და პოტენციალის მქონე პირთა ჩარიცხვას. პროგრამის სახელწოდება ზუსტად შეესაბამება მის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს, რომლებიც მოიცავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზებას, პარამეტრების გაზომვას, ელექტრომომარაგების მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკურ მომსახურებას, მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, რაც გამორიცხავს შეცდომაში შემყვან ან აცდენილ ჩანაწერებს და სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების ჭრილში, დაწესებულება ფლობს მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო ბაზას, რომელიც ოპტიმალურად პასუხობს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნებს. კოლეჯი სასწავლო პროცესის გეგმაზომიერებას ახორციელებს წელიწადში ორი მიღების ფარგლებში (საგაზაფხულო და საშემოდგომო ნაკადები), სადაც თითოეულ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ გადააჭარბებს 15 პირს (არაინტეგრირებულ ჯგუფებში 15, ინტეგრირებულში 10 სტუდენტი). კოლეჯში მოწყობილია საერთო სააუდიტორიო სივრცეები თეორიული და ზოგადი მოდულებისთვის, რომლებიც აღჭურვილია პროექტორებით, ეკრანებითა და ციფრული საშუალებებით, ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი (B გარემო) და სპეციალიზებული საგანმანათლებლო სახელოსნო და ღია პოლიგონი (C გარემო) 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროული მუშაობისთვის. სივრცეების ელექტრომომარაგება უზრუნველყოფილია სტანდარტული 220 ვ და სამფაზიანი 380 ვ ელექტრული ქსელით. დარგობრივი პრაქტიკული კომპონენტების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (ხელშეკრულება №იუს/26-015), რომლის მიხედვითაც საწარმოო ბაზა სრულად უზრუნველყოფს კრედიტების არაუმეტეს 50%-ის სწავლის შედეგების მიღწევას, მატერიალური რესურსებით, ხელსაწყოებითა და ნედლეულით მომარაგებასა და შრომის უსაფრთხოებას, რაც ექსპერტთა შეფასებით არის რეალისტურად დაგეგმილი და ხელმისაწვდომი.

ადამიანური რესურსების ნაწილში, პროგრამის მაღალ ხარისხსა და მდგრადობას განაპირობებს მობილიზებული 53 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 23 ახორციელებს ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 19 – დარგობრივ პროფესიულ მოდულებს. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი, რაც სრულად უზრუნველყოფს კადრების ურთიერთჩანაცვლებას. პერსონალის უმრავლესობას წარმოადგენენ სარკინიგზო სექტორის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები, ხოლო მათი ყოველკვირეული დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც ითვალისწინებს დროს კონსულტაციებისა და ვერიფიკაციისთვის. აღსანიშნავია განმახორციელებელი პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება, კერძოდ, პროგრამის 24-მა მასწავლებელმა და საწარმოს ინსტრუქტორმა წარმატებით გაიარეს აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ორეტაპიანი ტრენინგი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, ასევე გადამზადდნენ ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და „Deutsche Bahn International“-ის ორგანიზებით კოოპერაციული სწავლების მეთოდოლოგიაში, რაც უზრუნველყოფს სწავლების უმაღლეს დონეს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი

კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მოდულების ადაპტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში. ფინანსური მდგრადობა სრულად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსებითა და განათლების სამინისტროსა და სს „საქართველოს რკინიგზის“ 50%-იანი წილობრივი პარტნიორული თანამონაწილეობით, რაც პროგრამას ფინანსურად აბსოლუტურად სტაბილურს ხდის.
საგანმანათლებლო რესურსები და ინკლუზიური გარემო ხელმისაწვდომია. მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა და სპეციალიზებული სარკინიგზო გამოცემები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემის openbiblio მეშვეობით სტუდენტებს აქვთ წვდომა ციფრულ კატალოგებთან და მასალებთან ნებისმიერი წერტილიდან. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით. ინკლუზიური განათლების ჭრილში, კოლეჯის მარეგულირებელი წესი დეტალურად განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სასწავლო პროცესში ჩართვის, ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისა და გარემოს ადაპტაციის სამართლებრივ მექანიზმებს, რაც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ჟესტური ენის თარჯიმნის, ასისტენტისა თუ მობილობის ტრენერის მობილიზებას. კოლეჯის ინფრასტრუქტურა შენობაში თავისუფალი გადაადგილებისთვის სრულად ადაპტირებულია და აღჭურვილია უსაფრთხო, ფუნქციონირებადი ლიფტით, რაც სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.
პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ეფუძნება კოლეჯში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ოთხი ძირითადი დაინტერესებული მხარის – სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების სისტემურ გამოკითხვასა და შრომის ბაზრის ანალიზს. ხარისხის მართვის მენეჯერი რეგულარულად აფასებს მატერიალური ბაზის ადეკვატურობას, სწავლება-სწავლის პროცესს, მასწავლებელთა საქმიანობასა და ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების საიმედოობას. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე მუშავდება არგუმენტირებული რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამული განვითარების ან ჩარჩო დოკუმენტებში შესული სამართლებრივი ცვლილებების საფუძველზე აისახება მოდულებსა და სასწავლო გეგმებში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მუდმივ და ეფექტურ განვითარებას.
სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი სასწავლო გეგმებისა და ცხრილების მიხედვით, სადაც დაცულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოქმედებს ქართული ენის კურსი. კოლეჯი იჩენს მაღალ მოქნილობას და მაქსიმალურად ითვალისწინებს დასაქმებული სტუდენტების ინტერესებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“

პროგრამა „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0732) წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობაში. საგანმანათლებლო კურსი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით, ხოლო მიმდინარე მოდიფიცირებული ვერსია მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის №81 ბრძანების საფუძველზე. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ორ ძირითად მისამართზე: თეორიული, კომპიუტერული და საბაზისო პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10), ხოლო სპეციალიზებული საწარმოო კურსი – სს „საქართველოს რკინიგზის“ რეალურ სამუშაო გარემოში (ქ. თბილისი, თამარ მეფის №15). პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმატით. კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია სასწავლო გეგმების მიხედვით, კერძოდ: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული გეგმა მოიცავს 90 კრედიტს (ხანგრძლივობა 17 თვე), ხოლო

ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას, მოიცავს 114 კრედიტს (ხანგრძლივობა 21 თვე). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოცულობა შეადგენს შესაბამისად 120 და 144 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალური ანალიზის საფუძველზე სრულად გაიზიარა და დაამტკიცა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა 80 ადგილის ოდენობით, საიდანაც 20 ადგილი განკუთვნილია უშუალოდ ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ აღნიშნული პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯში დანერგილ სამართლებრივ მეთოდოლოგიას, დაწესებულების მისიასა და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრისა და დარგობრივი საჭიროებების საფუძვლიან კვლევას, რომელიც ჩატარდა სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო პარტნიორობით. მიზანშეწონილობის დოკუმენტში დასაბუთებულია, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ ახორციელებს მაგისტრალის მასშტაბურ, სრულ მოდერნიზაციას, რაც მოიცავს მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების, უპირაპირო წნულების, თანამედროვე სამაგრებისა და რკინაბეტონის შპალების მონტაჟს, რის გამოც მკაფიოდ იკვეთება კვალიფიციური კადრების დეფიციტი. გარდა ამისა, ახალი ევროპული სტანდარტის (1435 მმ) ლიანდაგის, ხიდებისა და კავკასიის რეგიონში ყველაზე გრძელი (8,3 კმ) გვირაბის მოწყობა-მომსახურება ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე, ტვირთბრუნვის მზარდი დინამიკა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდა „შუა დერეფნის“ ფარგლებში, მოითხოვს სპეციფიკური კომპეტენციების მქონე საშუალო რგოლის ტექნიკურ პერსონალს, მით უმეტეს, რომ საბაკალავრო საფეხურზე ამ პროფილის სპეციალისტები აღარ მზადდებიან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არაინტეგრირებულ გეგმაზე განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულზე – საბაზო განათლება. ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურები, რომელიც მოიცავს ანკეტის შევსებას, რეგისტრაციას, შერჩევასა და რეიტინგული სიის შედგენას, სრულად უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნისა და პოტენციალის მქონე პირთა ჩარიცხვას. პროგრამის სახელწოდება ზუსტად შეესაბამება მის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს, სრულად მოიცავს სარკინიგზო სფეროსთვის აუცილებელ კომპეტენციებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, რის გამოც აღნიშნული კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების ჭრილში, დაწესებულება ფლობს მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო ბაზას, რომელიც ოპტიმალურად პასუხობს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნებს. კოლეჯი სასწავლო პროცესის გეგმაზომიერებას ახორციელებს წელიწადში ორი მიღების ფარგლებში (საგაზაფხულო და საშემოდგომო ნაკადები), სადაც არაინტეგრირებული ჯგუფები დაკომპლექტდება 15, ხოლო ინტეგრირებული – 10 პროფესიული სტუდენტით და ითვალისწინებს სასწავლო რესურსების განაწილებას 3 ჯგუფის საჭიროებებზე. კოლეჯში მოწყობილია 3 სპეციალიზებული აუდიტორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის (მეცნიერება და ტექნოლოგიები), 15 ადგილზე გათვლილი სასწავლო A გარემოები (ოთახები №306 და №507, რომელთა გამტარუნარიანობა და სხვა პროგრამებთან თავსებადობა დადასტურდა სასწავლო ცხრილების ანალიზით) და სათანადო კომპიუტერული და მულტიმედიური ტექნიკით აღჭურვილი B გარემო (ოთახი №304). პრაქტიკული და საწარმოო სწავლების მიზნით, კოლეჯში მოწყობილია სპეციალიზებული ლაბორატორია (ოთახი №107, გათვლილი 15 სტუდენტზე) და ეზოში არსებული ლიანდაგის პოლიგონი შესაბამისი ისრული გადამყვანითა და ახლად მოწყობილი ბეტონის საფარიანი მოედნით. კოლეჯს სრული კომპლექტაციით გადაეცა თანამედროვე ულტრაბგერითი დეფექტოსკოპიის აპარატი РДМ–34, რაც სწავლებას ინოვაციურს ხდის. დარგობრივი პრაქტიკული კომპონენტების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან“

(ხელშეკრულება №იუს/26-018), რომლის მიხედვითაც საწარმოო ბაზა სრულად უზრუნველყოფს კრედიტების არაუმეტეს 50%-ის სწავლის შედეგების მიღწევას, მატერიალური რესურსებით, ხელსაწყოებითა და ნედლეულით მომარაგებასა და შრომის უსაფრთხოებას. პარტნიორს ერთდროულად 45 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს, რაც სრულ თანხვედრაშია კოლეჯის სასწავლო გეგმასთან.

ადამიანური რესურსების ნაწილში, პროგრამის მაღალ ხარისხსა და მდგრადობას განაპირობებს 54 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 24 ახორციელებს ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 19 – დარგობრივ პროფესიულ მოდულებს. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი, რაც სრულად უზრუნველყოფს კადრების ურთიერთჩანაცვლებას. პერსონალის უმრავლესობას წარმოადგენენ სარკინიგზო სექტორის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები და მოწვეული ინჟინრები, რაც სასწავლო პროცესს მაქსიმალურად აახლოებს რეალურ საწარმოო გარემოსთან. მასწავლებელთა პირადი საქმეების ანალიზით დადასტურდა მათი შესაბამისი განათლება, სამუშაო გამოცდილება და გავლილი პროფესიული განვითარების კურსები, ხოლო მათი ყოველკვირეული დატვირთვა შეესაბამება შრომის კოდექსით დადგენილ 40 საათს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც პირდაპირ კურირებს თეორიისა და პრაქტიკის შეთავსებას, მოდულების ადაპტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას. ფინანსური მდგრადობა სრულად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი ასახავს დაგეგმილ შემოსავლებსა და ყველა საოპერაციო, სახელფასო და მატერიალურ ხარჯს, ხოლო რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებულ გეგმაზე შეადგენს 10 სტუდენტს, ხოლო არაინტეგრირებულზე – 15 სტუდენტს.

საგანმანათლებლო რესურსები და ინკლუზიური გარემოს ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო ლიტერატურა დამუშავებულია წესების დაცვით, ხოლო სპეციალიზებული პროგრამის Openbiblo-ს მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერი წერტილიდან დისტანციურად ისარგებლონ ელექტრონული მასალებით. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით. ინკლუზიური განათლების ჭრილში, კოლეჯის მარეგულირებელი წესი დეტალურად განსაზღვრავს სპეციალური საჭიროებების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სასწავლო პროცესში ინტეგრაციას, რაც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ჟესტური ენის თარჯიმნის, ასისტენტისა და მობილობის ტრენერის ჩართვას. კოლეჯის ინფრასტრუქტურა შენობაში თავისუფალი გადაადგილებისთვის სრულად ადაპტირებულია, აღჭურვილია უსაფრთხო, ფუნქციონირებად ლიფტით და უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას ყველა ადმინისტრაციულ თუ სასწავლო სერვისზე.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემურ წესს. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი სასწავლო გეგმებისა და ცხრილების მიხედვით, სადაც დაცულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასების ვადები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „სავაგონო მეურნეობა“

პროგრამა „სავაგონო მეურნეობა“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0716) წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სავაგონო მეურნეობაში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ორ ძირითად მისამართზე: თეორიული, კომპიუტერული და საბაზისო პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10), ხოლო სპეციალიზებული საწარმოო კურსი – სს „საქართველოს რკინიგზის“ რეალურ სამუშაო გარემოში (ქ. თბილისი, თამარ მეფის №15).

პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმატით. კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია სასწავლო გეგმების მიხედვით, კერძოდ: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არაინტეგრირებული გეგმა მოიცავს 90 კრედიტს (ხანგრძლივობა 17 თვე), ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას, მოიცავს 114 კრედიტს (ხანგრძლივობა 21 თვე). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოცულობა შეადგენს შესაბამისად 120 და 144 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალური ანალიზის საფუძველზე სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა 75 ადგილის ოდენობით, საიდანაც 30 ადგილი განკუთვნილია უშუალოდ ინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ აღნიშნული პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯში დანერგილ სამართლებრივ მეთოდოლოგიას, დაწესებულების მისიასა და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრისა და დარგობრივი საჭიროებების საფუძვლიან კვლევას, რომელიც ჩატარდა სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო პარტნიორობით.

მიზანშეწონილობის დოკუმენტში მყარად არის არგუმენტირებული, რომ სავაგონო მეურნეობა წარმოადგენს სარკინიგზო სექტორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მმართველ რგოლს, სადაც დასაქმებულია დაახლოებით 1700 თანამშრომელი (700 ვაგონსარემონტო საწარმოებში, ხოლო 1000 ტექნიკური მომსახურების ხაზზე). პროგრამა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მატარებელთა გზაში მსვლელობისას მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური გამართულობისა და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. 90-იანი წლებიდან 2018 წლამდე დარგში მასიურად შესული არაკვალიფიციური კადრები ფლობენ პრაქტიკულ უნარებს, თუმცა საჭიროებენ თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და ევროპული სტანდარტების ათვისებას.

საქართველოს როლის გაძლიერება „შუა დერეფნის“ (ევროპა-კავკასია-აზია) ფუნქციონირებაში, გაზრდილი ტვირთბრუნვა და ევროკავშირთან მზარდი ეკონომიკური კავშირები მოითხოვს სარკინიგზო სექტორში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, რაც კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის განვითარების გარეშე შეუძლებელია.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არაინტეგრირებულ გეგმაზე განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულზე – საბაზო განათლება. ჩარიცხვის გამჭვირვალე პროცედურები სრულად უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნისა და პოტენციალის მქონე პირთა ჩარიცხვას.

პროგრამის სახელწოდება ზუსტად შეესაბამება მის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს, სრულად მოიცავს სავაგონო დარგისთვის აუცილებელ კომპეტენციებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების ჭრილში, დაწესებულება ფლობს მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკურ და საგანმანათლებლო ბაზას, რომელიც ოპტიმალურად პასუხობს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნებს. კოლეჯი სასწავლო პროცესის გეგმაზომიერებას ახორციელებს წელიწადში ორი მიღების ფარგლებში (საგაზაფხულო და საშემოდგომო ნაკადები), სადაც არაინტეგრირებული ჯგუფები დაკომპლექტდება 15, ხოლო ინტეგრირებული – 10 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო ცხრილების გადამოწმებით დადასტურდა, რომ სააუდიტორიო გამტარუნარიანობა სრულად აკმაყოფილებს დატვირთვის ნორმატივებს.

დარგობრივი პრაქტიკული კომპონენტების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (ხელშეკრულება №იუს/26-014), რომლის მიხედვითაც საწარმოო ბაზა სრულად უზრუნველყოფს კრედიტების არაუმეტეს 50%-ის სწავლის შედეგების მიღწევას, მატერიალური რესურსებით, ხელსაწყოებითა და ნედლეულით მომარაგებასა და შრომის უსაფრთხოებას. პარტნიორს ერთდროულად 45

პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს რეალურ სამუშაო გარემოში , რაც სრულ თანხვედრაშია კოლეჯის კვოტასთან.
ადამიანური რესურსების ნაწილში, პროგრამის მაღალ ხარისხსა და მდგრადობას განაპირობებს 61 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 23 ახორციელებს ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 27 – დარგობრივ პროფესიულ მოდულებს. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი, რაც სრულად უზრუნველყოფს კადრების ურთიერთჩანაცვლებას. პერსონალის უმრავლესობას წარმოადგენენ სავაგონო სექტორის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები და მოწვეული ინჟინრები, ხოლო მათი ყოველკვირეული დატვირთვა შეესაბამება შრომის კოდექსით დადგენილ 40 საათს.
პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც პირდაპირ კურირებს თეორიისა და პრაქტიკის შეთავსებას, მოდულების ადაპტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას. ფინანსური მდგრადობა სრულად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებულ გეგმაზე შეადგენს 10 სტუდენტს, ხოლო არაინტეგრირებულზე – 15 სტუდენტს.
საგანმანათლებლო რესურსებისა და ინკლუზიური გარემოს ხელმისაწვდომობა პასუხობს ავტორიზაციის მოთხოვნებს. მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემის Openbiblio-ს მეშვეობით სტუდენტებს აქვთ წვდომა ციფრულ კატალოგებთან და მასალებთან ნებისმიერი წერტილიდან.
პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ეფუძნება კოლეჯში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან პოლიტიკას. ხარისხის მართვის მენეჯერი რეგულარულად აფასებს მატერიალური ბაზის ადეკვატურობას, სწავლება-სწავლის პროცესს, მასწავლებელთა საქმიანობასა და ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე მუშავდება არგუმენტირებული რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამული განვითარების ან ჩარჩო დოკუმენტებში შესული სამართლებრივი ცვლილებების საფუძველზე აისახება მოდულებსა და სასწავლო გეგმებში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მუდმივ და ეფექტურ განვითარებას.
სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი სასწავლო გეგმებისა და ცხრილების მიხედვით, სადაც დაცულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა და გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოქმედებს ქართული ენის კურსი. დანაკარგებს.
სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (*PBL*), ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი და როლური იმიტაციები რეალურ საწარმოო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში.
სტუდენტთა შეფასების სისტემა არის სრულად ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. შეფასება ეფუძნება წინასწარ ნაცნობ კრიტერიუმებსა და მატერიალურ თუ ციფრულ მტკიცებულებებს, რომლებიც გროვდება სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო სტუდენტებს აქვთ აპელაციის სამართლებრივი უფლება.
ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფი ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით ინტერესთა კონფლიქტის სრული გამორიცხვით (ჯგუფის წევრი ვერ იქნება პირი, ვინც მონაწილეობდა ინსტრუმენტის შექმნაში). ვერიფიკაცია ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, რის შემდეგაც მტკიცდება ნიშნით „ვერიფიცირებულია“. ხარვეზების იდენტიფიცირებისას იქმნება რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა.

შეფასების შედეგები და განმავითარებელი უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი წინსვლისთვის, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სავალდებულო წესით ეცნობა საწარმოს ინსტრუქტორიც. საქმისწარმოების წესების შესაბამისად, შეფასების მტკიცებულებები უსაფრთხოდ ინახება კოლეჯში კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების საბოლოო ოფიციალური უწყისები დაცულია არქივში უვადოდ.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავაგონო მეურნეობა“ ყველა კომპონენტში შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „სარელსო დეფექტოსკოპია“

„სარელსო დეფექტოსკოპია“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის მიზანია სარელსო დეფექტოსკოპიაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0732. პროგრამა დაფუძნებულია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე „სარელსო დეფექტოსკოპია; Rail flaw detection“ (სარეგისტრაციო ნომერი 07.20.1). პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ორ იურიდიულ მისამართზე: თეორიული და სიმულაციური სწავლება მიმდინარეობს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე, მდებარე ქალაქ თბილისში, თემქის მეთერთმეტე მიკრორაიონის მესამე კვარტალში, ნაკვეთი 01/10, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი რეალურ სამუშაო გარემოში ხორციელდება სს „საქართველოს რკინიგზის“ ობიექტებზე, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15. განხორციელების ფორმად განსაზღვრულია სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმატად შერჩეულია კოოპერაციული მოდელი. კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით შეადგენს 50 პირს, საიდანაც ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მქონე ჯგუფისთვის გამოყოფილია 20 ადგილი. კრედიტების განაწილება სრულად ითვალისწინებს სტუდენტთა წინარე განათლებასა და ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 114 კრედიტით, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის პირობებში – 90 კრედიტით. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ენობრივი კომპონენტების გათვალისწინებით, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს 144 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული – 120 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების ინფრასტრუქტურული, მატერიალური და ადამიანური რესურსი და დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ ოდენობას, კერძოდ 50 პროფესიულ სტუდენტს, რაც დასაბუთებულია კოლეჯის საუდიტორიო ფონდისა და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობის რაციონალური გაანგარიშებით.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი შეესაბამება კოლეჯში მოქმედ მეთოდოლოგიას, რომელიც რეგულირდება დირექტორის ბრძანებებით და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის დეტალურ ანალიზსა და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო თანამშრომლობას, რაც მიმართულია კვალიფიციური კადრების დეფიციტის აღმოფხვრაზე. რკინიგზის მიმდინარე მასშტაბური მოდერნიზაციის პირობებში, სარელსო დეფექტოსკოპია სალიანდაგო მეურნეობის უსაფრთხოების გარანტიაა, რადგან იგი უზრუნველყოფს დეფექტების დროულ გამოვლენას ურღვევი კონტროლის, კერძოდ ულტრაბგერითი მეთოდით. შრომის ბაზრის კვლევები და საქსტატის 2018-2024 წლების მონაცემები ადასტურებს ტვირთბრუნვის მზარდ დინამიკას „შუა დერეფნის“ ფარგლებში, რაც ზრდის მოთხოვნას

სარელსო დეფექტოსკოპისტებზე, ხოლო კოლეჯის სტრატეგიული მიზანია 2024-2025 წლებში სარკინიგზო შემთხვევების 6 პროცენტით შემცირება, რაშიც ამ სპეციალისტებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის სტრუქტურირებული და მორგებული სწავლის თითოეულ ფორმატზე, რაც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას დადგენილ ვადებში. არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულ გეგმაზე, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს, დაშვება შესაძლებელია საბაზო ზოგადი განათლების საფუძველზეც. ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე წესით, რომელიც მოიცავს ანკეტა-კითხვარის შევსებას, რეგისტრაციას, შერჩევის ეტაპს, რეიტინგული სიის შედგენასა და სტატუსის მინიჭებას, რაც სრულად უზრუნველყოფს შესაბამისი წინარე ცოდნისა და მოტივაციის მქონე პირთა ჩარიცხვას. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება კოლეჯის სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო აუდიტორიების ფართობს, სამუშაო ადგილების რაოდენობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსს, მასწავლებელთა ოპტიმალურ კვირეულ დატვირთვას მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია მატერიალური რესურსების ნორმატიული ფორმები, საგანმანათლებლო რესურსები თავსებადია სწავლის შედეგებთან და პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს, რითაც ინდიკატორები 2.1.1.4 და 2.1.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ, მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, ხოლო საგანმანათლებლო პაკეტი, მათ შორის არაქართულენოვანი სტუდენტების ხელშემწყობი ენობრივი მოდულები და ინტეგრირებული ორწლიანი სასწავლო გეგმა, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და მინისტრის №170/ნ ბრძანების მოთხოვნებს.
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ბაზა სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას განსაზღვრული სტუდენტური კვოტის ფარგლებში. კოლეჯში სპეციალურად არის გამოყოფილი რამდენიმე ფუნქციური სივრცე, მათ შორის სამი სააუდიტორიო ფართი ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის, სადაც განთავსებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესაბამისი რესურსები 30 სტუდენტის გამტარუნარიანობით. პროფესიული თეორიული სწავლებისთვის მოწყობილია A სასწავლო გარემო, კერძოდ აუდიტორია №507, რომელიც სრულად არის აღჭურვილი პედაგოგისა და 15 სტუდენტის სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული ტექნიკით, დაფითა და დემონსტრირების საშუალებებით, ხოლო მისი გამტარუნარიანობა თავსებადია ლიანდაგის მშენებლობის პროგრამასთან ერთობლივი ორცვლიანი მოხმარების პირობებში. პრაქტიკული და სიმულაციური სწავლებისთვის ფუნქციონირებს B სასწავლო გარემო, კერძოდ აუდიტორია №304, სადაც მობილიზებულია 15 კომპიუტერული სამუშაო სადგური სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფით. უშუალოდ პროფესიული მოდულების პრაქტიკული დამუშავებისთვის გამოყოფილია C გარემო, კერძოდ აუდიტორია №104, ხოლო ღია სივრცეში კოლეჯს გააჩნია სათანადო პარამეტრების მქონე ლიანდაგის პოლიგონი ისრული გადამყვანით. სწავლის ორგანიზება ითვალისწინებს წელიწადში ორ მიღებას, სადაც არაინტეგრირებული ჯგუფი კომპლექტდება 15 სტუდენტით, ხოლო ინტეგრირებული – 10 სტუდენტით.
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №იუს/26-016 სს „საქართველოს რკინიგზასთან“, რომელიც მოქმედებს ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე და ფარავს დარგობრივი კრედიტების არაუმეტეს 50 პროცენტს. პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იღებს ლიანდაგის მიმდინარე მოვლის, ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლის, მონიტორინგის, დეფექტების ვიზუალური და ულტრაბგერითი გამოვლენის, აპარატურის ტექნიკური მომსახურებისა და შრომის უსაფრთხოების კომპონენტებზე, სტუდენტთა ერთდროული რაოდენობის 45 პირამდე შეზღუდვით. პროგრამის ადამიანური რესურსი მოიცავს 53 პროფესიულ მასწავლებელს,

საიდანაც 23 უძღვება ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 19 – უშუალოდ პროფესიულ მიმართულებებს. თითოეულ მოდულზე გარანტირებულია მინიმუმ ორი მასწავლებლის არსებობა, რაც კვირეული დატვირთვის 40-საათიანი ლიმიტის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას. მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და კვალიფიკაციის შემოწმებით დასტურდება, რომ ისინი ფლობენ შესაბამის დიპლომებს, სერტიფიკატებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილეობენ რკინიგზის მოქმედი სპეციალისტები, პერსონალს გავლილი აქვს პროფესიული განვითარების კურსები და ისინი ჩართულნი არიან მოდულების ადაპტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში. პროგრამას ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც კურირებს თეორიისა და პრაქტიკის თავსებადობას, ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე და აქტიურად მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალურ ბიბლიოთეკაში და ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამის Openbiblo-ს მეშვეობით, რაც სტუდენტებს აძლევს დისტანციური სარგებლობისა და მასალების გამრავლების საშუალებას კვალიფიციური ბიბლიოთეკარის. შენობა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის, აღჭურვილია ფუნქციური ლიფტით და კოლეჯს გააჩნია მექანიზმები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, ჟესტური ენის თარჯიმნისა და ასისტენტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია საპროგნოზო ბიუჯეტით, სადაც შემოსავლების ნაწილი ეფუძნება ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10 სტუდენტს ინტეგრირებული და 15 სტუდენტს არაინტეგრირებული სწავლებისთვის, რაც სრულად ფარავს პედაგოგთა შრომის ანაზღაურებასა და მატერიალურ ხარჯებს.

სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება წარმოდგენილ სასწავლო გეგმებს, სადაც არაინტეგრირებული სწავლება გაწერილია 17 თვეზე, ხოლო ინტეგრირებული – 21 თვეზე, მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობისა და კვირეული დატვირთვის დაცვით. სასწავლო პროცესის ორგანიზება მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს. სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული სტუდენტებისთვის, საწარმოსთან შეთანხმებით, კოლეჯი ადგენს ინდივიდუალურ ჯგუფურ განრიგს. მატერიალური ბაზა, მათ შორის რკინიგზის მიერ გადაცემული ულტრაბგერითი დეფექტოსკოპიის აპარატი РДМ-34 და ლიანდაგის პოლიგონი, უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას, რითაც ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია. ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, მობილობით გადმოსული პირებისთვის ან სტატუსშეჩერებულებისთვის მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მკაფიო პროცედურები.
კოლეჯში მოქმედი პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.
შეფასების მტკიცებულებები კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, მაშინ როდესაც შეფასების უწყისების შენახვა ხდება უვადოდ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარელსო დეფექტოსკოპია“ ყველა ინდიკატორისა და კრიტერიუმის მიხედვით სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „სარკინიგზო გადაზიდვები“
პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის ძირითადი მიზანია სარკინიგზო გადაზიდვების მიმართულებით საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე, მაღალკონკურენტუნარიანი სპეციალისტების

მომზადება. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1041. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სარკინიგზო გადაზიდვები; Railway Freight Operations“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 10.11.1) ბაზაზე. პროგრამის განხორციელების ძირითადი ენა არის ქართული. საგანმანათლებლო პროცესი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ორ იურიდიულ მისამართზე: თეორიული და სიმულაციური სწავლება ხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, მდებარე ქალაქ თბილისში, თემქის მეთერთმეტე მიკრორაიონის მესამე კვარტალში, ნაკვეთი 01/10, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი რეალურ სამუშაო გარემოში ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის – სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15. განხორციელების ფორმად განსაზღვრულია სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმატად შერჩეულია კოოპერაციული მოდელი.

კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით შეადგენს 90 პირს, საიდანაც ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მქონე ჯგუფისთვის გამოყოფილია 45 ადგილი. კრედიტების განაწილება სრულად ითვალისწინებს სტუდენტთა წინარე განათლებასა და ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 114 კრედიტით, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის პირობებში – 90 კრედიტით. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ენობრივი კომპონენტების გათვალისწინებით, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს 144 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული – 120 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების ინფრასტრუქტურული, მატერიალური და ადამიანური რესურსი და დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ ოდენობას, კერძოდ 90 პროფესიულ სტუდენტს, რაც დასაბუთებულია კოლეჯის სააუდიტორიო ფონდისა და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობის რაციონალური გაანგარიშებით.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპლექსური პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯში დანერგილ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებებით და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზსა და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო თანამშრომლობას. სატვირთო გადაზიდვები სს „საქართველოს რკინიგზის“ სტრუქტურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სტრატეგიული რგოლია, რომელიც 2500-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს, და სწორედ ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ახორციელებენ მატარებელთა მიღება-გაგზავნის, ფორმირება-განფორმირების, ვაგონთა დახარისხების, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დოკუმენტაციის გაფორმების კრიტიკულ ოპერაციებს. სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთადერთი პროფილური სასწავლებელია, რომელიც ამ მიმართულებით კადრებს ამზადებს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სისტემაში არსებული კადრების დეფიციტის ფონზე, რაც გამოწვეულია საპენსიო პოლიტიკით, საწარმოო ტრავმებითა და დაბალ პოზიციებზე არსებული სახელფასო მდგომარეობით. 1990-იანი წლებიდან 2018 წლამდე სისტემაში არაკვალიფიციური პერსონალის მასიურმა შემოდინებამ წარმოშვა არსებული კადრების გადამზადების აუცილებლობა, ხოლო ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულება, მარაბდა-კარწახის მონაკვეთის ამოქმედება და რკინიგზის სრული მოდერნიზაცია კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ სპეციალისტებზე. პროგრამა პირდაპირ პასუხობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრიორიტეტებს, ვინაიდან „შუა დერეფნის“ ფუნქციონირებაში ქვეყნის წამყვანი როლი პირდაპირკავშირშია გადაზიდვების სპეციალისტების რაოდენობასა და ხარისხთან. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორი 2.1.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის სტრუქტურირებული და მორგებული სწავლის თითოეულ ფორმატზე, რაც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას დადგენილ ვადებში. არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულ გეგმაზე, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს, დაშვება შესაძლებელია საბაზო ზოგადი განათლების საფუძველზეც. ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე წესით, რომელიც მოიცავს ანკეტა-კითხვარის შევსებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, შერჩევის ეტაპს, რეიტინგული სიის შედგენასა და სტატუსის მინიჭებას, რაც სრულად უზრუნველყოფს შესაბამისი წინარე ცოდნისა და მოტივაციის მქონე პირთა ჩარიცხვას, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება კოლეჯის სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო აუდიტორიების ფართობს, სამუშაო ადგილების რაოდენობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსს, მასწავლებელთა ოპტიმალურ კვირეულ დატვირთვას მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია მატერიალური რესურსების ნორმატიული ფორმები, საგანმანათლებლო რესურსები თავსებადია სწავლის შედეგებთან. პროგრამა ოფიციალურად დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ, მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, ხოლო საგანმანათლებლო პაკეტი, მათ შორის არაქართულენოვანი სტუდენტების ხელშემწყობი ენობრივი მოდულები და ინტეგრირებული ორწლიანი სასწავლო გეგმა, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და მინისტრის №170/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო გარემო სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას განსაზღვრული სტუდენტური კვოტის ფარგლებში. კოლეჯში გამოყოფილია რამდენიმე ფუნქციური სივრცე, მათ შორის სამი საუდიტორიო ფართი ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის, სადაც განთავსებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესაბამისი რესურსები 30 სტუდენტის გამტარუნარიანობით. პროფესიული თეორიული სწავლებისთვის მოწყობილია A სასწავლო გარემო, კერძოდ აუდიტორიები №306 და №505, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი პედაგოგისა და 15 სტუდენტის სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული ტექნიკით, დაფითა და დემონსტრირების საშუალებებით, ხოლო №306 აუდიტორიის გამტარუნარიანობა თავსებადია ლიანდაგის მშენებლობისა და სავაგონო მეურნეობის პროგრამებთან ერთობლივი მოხმარების პირობებში. პრაქტიკული და სიმულაციური სწავლებისთვის ფუნქციონირებს B სასწავლო გარემო, კერძოდ აუდიტორია №406, სადაც არის 15 კომპიუტერული სამუშაო სადგური სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფით. კოლეჯი წელიწადში ორი მიღების ფარგლებში ჯამურად მიიღებს 60 პროფესიულ სტუდენტს (40 არაინტეგრირებულ და 20 ინტეგრირებულ სტუდენტს), სადაც არაინტეგრირებული ჯგუფი კომპლექტდება 15 სტუდენტით, ხოლო ინტეგრირებული – 10 სტუდენტით, რაც გათვლილია სამი ჯგუფის საჭიროებებზე და გამორიცხავს საერთო რაოდენობის გადაჭარბებას ან ნაკადების ზედდებას.

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №იუს/26-017 სს „საქართველოს რკინიგზასთან“, რომელიც მოქმედებს ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე და ფარავს დარგობრივი კრედიტების არაუმეტეს 50 პროცენტს.

პროგრამის ადამიანური რესურსი მოიცავს 61 პროფესიულ მასწავლებელს, საიდანაც 22 უძღვება ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 28 – უშუალოდ პროფესიულ მიმართულებებს. თითოეულ მოდულზე გარანტირებულია მინიმუმ ორი მასწავლებლის არსებობა, რაც კვირეული დატვირთვის 40-საათიანი ლიმიტის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას. მასწავლებლები ფლობენ შესაბამის დიპლომებს, სერტიფიკატებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილეობენ რკინიგზის მოქმედი სპეციალისტები, პერსონალს გავლილი აქვს პროფესიული განვითარების კურსები და ისინი ჩართულნი არიან მოდულების ადაპტირებასა და შეფასების

ინსტრუმენტების ვალიდაციაში. პროგრამას ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც კურირებს თეორიისა და პრაქტიკის თავსებადობას, ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე და აქტიურად მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალურ ბიბლიოთეკაში და ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამის Openbiblo-ს მეშვეობით. შენობა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის, აღჭურვილია ფუნქციური ლიფტით და კოლეჯს გააჩნია მექანიზმები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, ჟესტური ენის თარჯიმნისა და ასისტენტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10 სტუდენტს ინტეგრირებული და 15 სტუდენტს არაინტეგრირებული სწავლებისთვის, რაც სრულად ფარავს პედაგოგთა შრომის ანაზღაურებასა და მატერიალურ ხარჯებს.

კოლეჯში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად, ხარისხის კონტროლის მექანიზმები მოიცავს შინაარსობრივი ასპექტების, სწავლების მეთოდების, მასწავლებელთა საქმიანობისა და მატერიალური რესურსების სისტემურ რევიზიას.

სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება წარმოდგენილ სასწავლო გეგმებს, სადაც არაინტეგრირებული სწავლება გაწერილია 17 თვეზე, ხოლო ინტეგრირებული – 21 თვეზე, მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობისა და კვირეული დატვირთვის დაცვით, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორ 2.4.1.1-ს. სასწავლო პროცესის ორგანიზება მაქსიმალურად ითვალიწინებს სტუდენტთა ინტერესებს. სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული სტუდენტებისთვის, საწარმოსთან შეთანხმებით, კოლეჯი ადგენს ინდივიდუალურ ჯგუფურ განრიგს, სადაც საკონტაქტო საათები გადანაწილებულია 4 დღეზე, მათ შორის 3 სამუშაო დღესა და შაბათზე, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ პროგრესს. სწავლებაში ინტეგრირებულია თანამედროვე მეთოდოლოგია, მათ შორის ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და როლური იმიტაცია, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ პირობებთან მიახლოებულ გარემოში.

კოლეჯში მოქმედი პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – "სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა"

პროგრამა „სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა“ წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის ძირითადი მიზანია სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე, მაღალკონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1041. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა; Rail Signalization, Centralization and Blocking up“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 10.12.1) ბაზაზე. პროგრამის განხორციელების ძირითადი ენა არის ქართული. საგანმანათლებლო პროცესი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ორ იურიდიულ მისამართზე: თეორიული და სიმულაციური სწავლება ხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, მდებარე ქალაქ თბილისში, თემქის მეთერთმეტე მიკრორაიონის მესამე კვარტალში, ნაკვეთი 01/10, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი რეალურ სამუშაო გარემოში ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის – სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე,

მისამართზე: ქალაქი თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15. განხორციელების ფორმად განსაზღვრულია სწავლება რეალურ სამუშაო გარემოში, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმატად შერჩეულია კოოპერაციული მოდელი.
კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით შეადგენს 75 პირს, საიდანაც ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მქონე ჯგუფისთვის გამოყოფილია 30 ადგილი. კრედიტების განაწილება სრულად ითვალისწინებს სტუდენტთა წინარე განათლებასა და ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 114 კრედიტით, ხოლო არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის პირობებში – 90 კრედიტით. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ენობრივი კომპონენტების გათვალისწინებით, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა მოიცავს 144 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული – 120 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების ინფრასტრუქტურული, მატერიალური და ადამიანური რესურსი და დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ ოდენობას, კერძოდ 75 პროფესიულ სტუდენტს.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი სრულად შეესაბამება კოლეჯში დანერგილ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებებით და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზსა და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ მჭიდრო თანამშრომლობას. სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მიმართულება რკინიგზის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციური ნაწილია, ხოლო თავად სს „საქართველოს რკინიგზა“, რომელიც კოლეჯის თანადამფუძნებელია, გადადის მართვის ახალ ეტაპზე, რაც გულისხმობს მიკროპროცესორული მართვის სისტემების (მპც) მასშტაბურ დანერგვას. ვინაიდან მოქმედი ელექტრომექანიკოსები ძირითადად სარელეო და ჰიბრიდულ სისტემებს ემსახურებიან, ახალი პროგრამის განხორციელება აუცილებელია ახალი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მართვისთვის საჭირო კადრების მოსამზადებლად. გარდა ამისა, შესაბამის დეპარტამენტებში საპენსიო ასაკის თანამშრომლების გადინება იწვევს ვაკანტური ადგილების სისტემურ ზრდას. კოლეჯი ეყრდნობა 2018 წლიდან დაგროვილ წარმატებულ პრაქტიკას და საქსტატის 2018-2024 წლების მონაცემებს, რომლებიც ადასტურებენ ტვირთბრუნვის მკვეთრ ზრდას „შუა დერეფნის“ ფარგლებში, რაც ავტომატურად ზრდის მოთხოვნას უსაფრთხოების სისტემების გამართულობაზე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის სტრუქტურირებული და მორგებული სწავლის თითოეულ ფორმატზე, რაც განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას დადგენილ ვადებში. არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულ გეგმაზე, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას, დაშვება შესაძლებელია საბაზო ზოგადი განათლების საფუძველზეც. ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე წესით, რომელიც მოიცავს ანკეტა-კითხვარის შევსებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, შერჩევის ეტაპს, რეიტინგული სიის შედგენასა და სტატუსის მინიჭებას, რაც სრულად უზრუნველყოფს შესაბამისი წინარე ცოდნისა და მოტივაციის მქონე პირთა ჩარიცხვას. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება კოლეჯის სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო აუდიტორიების ფართობს, სამუშაო ადგილების რაოდენობას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსს, მასწავლებელთა ოპტიმალურ კვირეულ დატვირთვას მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებულია მატერიალური რესურსების ნორმატიული ფორმები.
კოლეჯი წელიწადში ორი მიღების ფარგლებში ჯამურად მიიღებს 50 პროფესიულ სტუდენტს (30 არაინტეგრირებულ და 20 ინტეგრირებულ სტუდენტს), სადაც თითო მიღებაზე ჯგუფში

სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 15 პირს (არაინტეგრირებული ჯგუფი კომპლექტდება 15, ხოლო ინტეგრირებული – 10 სტუდენტით), რაც გამორიცხავს საერთო რაოდენობის გადაჭარბებას ან ერთი აუდიტორიის ერთდროულად ერთზე მეტი ჯგუფისთვის გამოყენებას.
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №იუს/26-015 სს „საქართველოს რკინიგზასთან“, რომელიც მოქმედებს ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე და ფარავს დარგობრივი კრედიტების არაუმეტეს 50 პროცენტს. პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იღებს მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენების, საგადასარბენო და სასადგურო მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის, სისტემების მონტაჟისა და მტყუნებებათა აღმოფხვრის მოდულების სწავლის შედეგების განხორციელებაზე, სტუდენტთა ერთდროული რაოდენობის 45 პირამდე შეზღუდვით. პროგრამის ადამიანური რესურსი მოიცავს 62 პროფესიულ მასწავლებელს, საიდანაც 23 უძღვება ზოგად მოდულებს, 11 – ინტეგრირებულს, ხოლო 28 – უშუალოდ პროფესიულ მიმართულებებს. თითოეულ მოდულზე გარანტირებულია მინიმუმ ორი მასწავლებლის არსებობა, რაც კვირეული დატვირთვის 40-საათიანი ლიმიტის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას. მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და კვალიფიკაციის შემოწმებით დასტურდება, რომ ისინი ფლობენ შესაბამის დიპლომებს, სერტიფიკატებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილეობენ რკინიგზის მოქმედი სპეციალისტები, პერსონალს გავლილი აქვს პროფესიული განვითარების კურსები და ისინი ჩართულნი არიან მოდულების ადაპტირებასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში.
პროგრამას ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალურ ბიბლიოთეკაში და ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამის Openbiblo-ს მეშვეობით, რაც სტუდენტებს აძლევს დისტანციური სარგებლობისა და მასალების გამრავლების საშუალებას კვალიფიციური ბიბლიოთეკარის მხარდაჭერი. პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია საპროგნოზო ბიუჯეტით, სადაც შემოსავლების ნაწილი ეფუძნება ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10 სტუდენტს ინტეგრირებული და 15 სტუდენტს არაინტეგრირებული სწავლებისთვის.
კოლეჯში მოქმედი პროგრამების შეფასებისა და განვითარების წესის შესაბამისად, ხარისხის კონტროლის მექანიზმები მოიცავს შინაარსობრივი ასპექტების, სწავლების მეთოდების, მასწავლებელთა საქმიანობისა და მატერიალური რესურსების სისტემურ რევიზიას. შეფასების პროცესი ეფუძნება ოთხი ძირითადი ჯგუფის – სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს სასწავლო თვალსაჩინოებების ადეკვატურობას და სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას, რათა სისტემა იყოს ობიექტური და სრულად ფარავდეს პროგრამულ მასალას.
სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება წარმოდგენილ სასწავლო გეგმებს, სადაც არაინტეგრირებული სწავლება გაწერილია 17 თვეზე, ხოლო ინტეგრირებული – 21 თვეზე, მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობისა და კვირეული დატვირთვის დაცვით, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორ 2.4.1.1-ს. სასწავლო პროცესის ორგანიზება მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს. სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული სტუდენტებისთვის, საწარმოსთან შეთანხმებით, კოლეჯი ადგენს ინდივიდუალურ ჯგუფურ განრიგს,
კოლეჯში მოქმედი პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი დაიტერესდა ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობისა და სასწავლო სივრცეების შესახებ, მან დასვა კითხვა ერთდროულად შვიდი ახალი პროგრამის დამატებასთან და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით. დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევდა აღნიშნული ნაკადების მიღება არსებული ინფრასტრუქტურის გადატვირთვას და ხომ არ შეიქმნებოდა დისონანსი უკვე მოქმედი პროგრამების სასწავლო პროცესთან მიმართებაში. ავტორიზაციის ექსპერტმა, ვერიკო ჭიღლაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების გამტარუნარიანობა. მისი თქმით, კოლეჯი ფლობს საკმაოდ დიდ და მრავალრიცხოვან სასწავლო აუდიტორიებს. ექსპერტებმა შემოწმებისას დაათვალიერეს როგორც ახალი პროგრამებისთვის განკუთვნილი, ისე მოქმედი სასწავლო სივრცეები და დაადასტურეს, რომ ახალი ნაკადების მიღება ხელს არ შეუშლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს. ავტორიზაციის ექსპერტმა, თაბუკა ციმინტიამ, დაამატა, რომ წარმოდგენილი შვიდი პროგრამისთვის გამოყოფილია სრულიად ახალი, დამოუკიდებელი სასწავლო ოთახები (A, B და C გარემოებები), რომლებიც მანამდე არსებულ სხვა პროგრამებში არ არის ინტეგრირებული, რაც სრულად გამორიცხავს სივრცეების გადაფარვას.

დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, ხაზი გაუსვა, რომ კოლეჯის შენობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ აუთვისებელია და დაწესებულებას გააჩნია ფართის დამატებითი რეზერვი. ამასთანავე, აღნიშნული პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესის თითქმის ნახევარი (47-48%) გატანილია უშუალოდ პრაქტიკის ობიექტებზე, რაც მნიშვნელოვნად ათავისუფლებს შიდა სასწავლო სივრცეებს.
პედაგოგთა დატვირთვისა და რისკების მართვის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ პროგრამებზე წარმოდგენილია მასწავლებელთა საკმაოდ დიდი კონტინგენტი (50-დან 62-მდე პირი), რომლებიც ძირითადად სს „საქართველოს რკინიგზის“ მოქმედი თანამშრომლები არიან. თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად რეალისტურია მათი მუდმივი ჩართულობა სასწავლო პროცესში ძირითად სამსახურში არსებული მაღალი დატვირთვის ფონზე და ხომ არ არსებობს ფორსმაჟორულ სიტუაციებში ლექციების ჩაშლის რისკი. ვერიკო ჭიღლაძემ განმარტა, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“, როგორც კოლეჯის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თავად არის დაინტერესებული პროცესის მაღალ დონეზე წარმართვით. შესაბამისად, ორგანიზაცია ოფიციალურად უზრუნველყოფს თანამშრომელთა (როგორც პედაგოგების, ისე სტუდენტების) გამოთავისუფლებას სალექციო საათებში. გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნია ურთიერთჩანაცვლებადი კადრების საკმარისი რესურსი, რაც სრულად გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას.
პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობისა და სტუდენტთა კონტინგენტის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, რამდენად ფლობს პარტნიორი ორგანიზაცია (საქართველოს რკინიგზა) შესაბამის ბაზას, რათა მიიღოს რეალურ პრაქტიკულ სამუშაოებზე და არა მხოლოდ პასიური დამკვირვებლის სტატუსით. ტიტე ბოლქვაძემ განმარტა, რომ რკინიგზა არის 12 000-ზე მეტ თანამშრომელზე გათვლილი მსხვილი სტრუქტურა, რომლის ინფრასტრუქტურა თბილისის მასშტაბით მრავალრიცხოვან დეპოებსა და ქვესადგურებს მოიცავს. შესაბამისად, იურიდიულ მისამართზე (თამარ მეფის ქუჩა) მხოლოდ ადმინისტრაციაა განთავსებული, ხოლო სტუდენტები პრაქტიკას რეალურ საწარმოო ობიექტებზე გადიან. ექსპერტმა დააზუსტა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას თავად რკინიგზის მოქმედი თანამშრომლები წარმოადგენენ, რომელთაც ორგანიზაცია კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს. სასწავლო გრაფიკი და ჯგუფები ცვლების მიხედვით ისეა დაბალანსებული, რომ ობიექტების გადატვირთვის რისკი არ არსებობს.
ტექნოლოგიური მოდერნიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად პასუხობს კოლეჯის მატერიალური ბაზა რკინიგზის თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ, მიკროპროცესორულ მართვასა და ევროპულ სტანდარტებზე გადასვლის

პროცესს, და ხომ არ ისწავლიან სტუდენტები მოძველებული სარელსო სისტემებით. დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ მოდერნიზაცია ეტაპობრივი და ხანგრძლივი პროცესია, რაც სინქრონულად აისახება სასწავლო პროცესშიც. ვინაიდან პედაგოგები თავად არიან ჩართულნი ამ ინოვაციების დანერგვაში, ისინი ახალ ტექნოლოგიებს პარალელურად ნერგავენ კოლეჯშიც. დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი სიმულატორებით და სწავლება მიმდინარეობს როგორც ძველ, ისე ახალ სისტემებზე, ვინაიდან გარდამავალ პერიოდში პრაქტიკულ საქმიანობაში ორივე სისტემის ცოდნა აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დასვა დამატებითი შეკითხვა წარმოდგენილი პროგრამების (მაგ., ლიანდაგის მშენებლობა, ელექტრომომარაგება, სავაგონო და სამანქანო დეპო) სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მაღალი რისკის ზონებს უკავშირდება. თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა კონკრეტული მექანიზმებით არის გარანტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების უსაფრთხოება საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას და რამდენად რეალურია მათი ჩართულობა მსგავს ფიზიკურად მძიმე და სპეციფიკურ გარემოში. ავტორიზაციის ექსპერტმა, ვერიკო ჭიღლაძემ, განმარტა, რომ დაწესებულების შიდა მექანიზმები ითვალისწინებს თითოეული სტუდენტის უნარების ინდივიდუალურ შეფასებას, ვინაიდან ზოგადი მიდგომის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუ სტუდენტის ჯანმრთელობის ან ფიზიკური მდგომარეობა შეიცავს რისკებს სახიფათო დანადგარებთან და მოწყობილობებთან მუშაობისას, მისი დაშვება საწარმოო ზონაში არ მოხდება. დაშვების აუცილებლობის შემთხვევაში კი, პროცესი წარიმართება მხოლოდ შესაბამისი ასისტენტისა და მეთვალყურის მკაცრი ზედამხედველობით. დაწესებულებასთან გასაუბრებით დადასტურდა მათი სრული მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, რისკების განსაზღვრისა და მართვის პროცესში შესაბამისი სპეციალისტები ჩართონ.
პროგრამების განვითარებისა და დარგობრივი რეკომენდაციების შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შვიდივე პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ არცერთი განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა. მან დარგის ექსპერტებს სთხოვა სიტყვიერი რჩევების გაზიარება პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ, აღნიშნა, რომ წერილობითი რეკომენდაციების არარსებობა განპირობებულია კოლეჯის მიერ დაგროვილი მდიდარი წინარე გამოცდილებით, რომლის ფარგლებშიც წინა ვიზიტების დროს გაცემული ყველა შენიშვნა დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა. მან დასძინა, რომ წვრილმანი დეტალები, შესაძლოა, უშუალოდ პროგრამების განხორციელების პროცესში გამოიკვეთოს. დარგობრივი განვითარების ჭრილში, ტიტე ბოლქვაძემ კოლეჯს ურჩია, პრაქტიკის ობიექტად საქართველოს რკინიგზის გარდა განიხილოს საქართველოში არსებული მეორე სარკინიგზო მაგისტრალიც (ახალქალაქის მულტიფუნქციური კომპლექსი), რომელიც ევრორელსებზე, გადაყვანა-გადმოყვანის ახალ მეთოდოლოგიასა და სრულიად განსხვავებულ ევროპულ სისტემებზეა ორიენტირებული. ექსპერტმა მიუთითა, რომ ეს მიმართულება სტუდენტებისთვის ძალიან საინტერესო იქნება, თუმცა აღნიშნული მოითხოვს არა მხოლოდ კოლეჯის, არამედ მისი დამფუძნებლების პოლიტიკურ ნებასაც. დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მოისწრაფიშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნულ ობიექტთან კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი და მჭიდროდ თანამშრომლობს, თუმცა მოცემულ ეტაპზე სტუდენტების იქ გაშვება შეუძლებელია. მან განმარტა, რომ მაღალი რისკის მქონე საწარმოო სივრცეში, სადაც ბოლომდე არ არის დასრულებული გაშვების პროცესი, განსაზღვრული არ არის მფლობელობის ფორმა და ჩამოყალიბებული არ არიან პასუხისმგებელი პირები, სტუდენტთა უსაფრთხოების რისკები ძალიან მაღალია. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ობიექტის სრულად ამუშავებისთანავე, კოლეჯი აუცილებლად გამოიყენებს ამ სივრცეს პრაქტიკული კომპონენტისთვის.

ინფრასტრუქტურული გამტარუნარიანობისა და სწავლების მოდელის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მოისწრაფიშვილმა, დეტალურად განმარტა კოლეჯის მატერიალური რესურსის მოცულობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ფლობს 5-სართულიან შენობას (საერთო ფართობით – 5000 კვ.მ) და ერთ ცვლაში 800 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები ამ ეტაპზე კოოპერაციული (სამუშაოზე დაფუძნებული) სტატუსით იმატებს და არა დუალურით, საწარმოო პრაქტიკის წილი თითქმის უცვლელია და 49.5%-ს შეადგენს. წარმომადგენელმა განმარტა, რომ დუალური სტატუსის დროულად მოპოვება ვერ მოხერხდა სს „საქართველოს რკინიგზაში“ ხელმძღვანელობის ცვლილებისა და ადმინისტრაციული ვადების გადაცილების გამო, თუმცა შინაარსობრივად სწავლება კვლავინდებურად გერმანული სამსაფეხურიანი მოდელის (Berufsschule, სახელოსნო სწავლება და საწარმოო პრაქტიკა) პრინციპით წარიმართება. კოლეჯს გააჩნია საკუთარი მაღალტექნოლოგიური სიმულატორები და ლიანდაგისა და ელმომარაგების პოლიგონები, აგრეთვე საკუთარი ლითონდამამუშავებელი მინიქარხანა. მოდერნიზაციის ფარგლებში კოლეჯი უახლოეს პერიოდში მიიღებს მესამე, თანამედროვე ლოკომოტივის სიმულატორს. სტრატეგიული განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის შესახებ, მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯი აქტიურად ემზადება „შუა დერეფნის“ სტრატეგიის ფარგლებში გაზრდილი სატრანზიტო და ლოგისტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, კადრებზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება, რის გამოც გამოცხადებულია ტენდერი ორი ახალი სასწავლო შენობის მშენებლობაზე, რომლებიც 17-18 თვეში შევა ექსპლუატაციაში. სასწავლო პროცესი ეტაპობრივად გადადის ორცვლიან რეჟიმზე (კვირაში 6-დღიანი გრაფიკით, რაც თითოეულ სპეციალიზებულ აუდიტორიაზე 60-საათიან დატვირთვას გულისხმობს). პრაქტიკის გეოგრაფიული არეალისა და უსაფრთხოების შესახებ, წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ ფლობს 1992 კმ სიგრძის მაგისტრალს, 4 ფილიალს და 100-ზე მეტ საწარმოს მთელი ქვეყნის მასშტაბით. სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებზე ნაწილდებიან მათი საცხოვრებელი ლოკაციის მიხედვით, რაც სრულად გამორიცხავს ინფრასტრუქტურის გადატვირთვის რისკს. შრომის უსაფრთხოებისა და HACCP-ის სტანდარტების დაცვას კოლეჯის სივრცეში უზრუნველყოფს თავად სასწავლებელი, ხოლო საწარმოო ბაზებზე – რკინიგზა, სადაც სტუდენტებთან ფორმდება ოფიციალური ხელშეკრულებები და სავალდებულოა სამედიცინო შემოწმების (ჯანმრთელობის ცნობის) წარდგენა.
ინტეგრირებული პროგრამებისა და პერსონალის მართვის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე სავაგონო მეურნეობის მიმართულებით 14-15 წლის ახალგაზრდების ინტერესის თაობაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფიზიკურად მძიმე შრომის გამო მოთხოვნა დაბალია. თუმცა, აღნიშნული მიმართულების შენარჩუნება კოლეჯის მხრიდან პატრიოტული ხასიათისაა, ვინაიდან რკინიგზაში კადრების მწვავე დეფიციტია (პერსონალის ასაკობრივი გადინების გამო), ხოლო ყარსი-ახალქალაქის რთულ კლიმატურ უბანზე ექსპლუატაციის დაწყება დიდ ფიზიკურ რესურსს მოითხოვს. კვოტების შეუვსებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ადგილებს არაინტეგრირებული ნაკადებით დააბალანსებს. პერსონალის ნაწილში აღინიშნა, რომ სპეციფიკური დარგობრივი პედაგოგების დეფიციტის გამო, კოლეჯში ლექციებს კითხულობენ რკინიგზის წამყვანი სპეციალისტები. სს „საქართველოს რკინიგზა“ სრულად უწყობს ხელს ამ პროცესს და პედაგოგებს სამუშაო საათებს უნარჩუნებს (ისინი იღებენ ორმაგ ანაზღაურებას). ფორსმაჟორული სიტუაციებისა და ავარიების დროს ლექციების ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, თითოეულ მოდულზე მიმაგრებულია 2-დან 5-მდე ურთიერთჩანაცვლებადი მასწავლებელი, რომელთა კოორდინაციასაც მუდმივ რეჟიმში ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კოოპერაციული სწავლების პირობებში სს „საქართველოს რკინიგზასთან“ პარტნიორობის მოქნილობის შესახებ, ორგანიზაციის მაღალი სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით. მანანა

მოისწრაფიშვილმა განმარტა, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“ არის კოლეჯის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი და ინიციატორი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად). პარტნიორობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ურთიერთობის ყველა ნიუანსი, მათ შორის სტუდენტებისა და პედაგოგების მობილობა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქვეყნის მასშტაბით. კოლეჯთან კომუნიკაციის მიზნით, რკინიგზაში გამოყოფილია სპეციალური კადრი, რომელიც სრული სამუშაო დატვირთვით ემსახურება სასწავლო დაწესებულების საჭიროებებს. იგი მუდმივ კავშირშია კოლეჯის პრაქტიკის კოორდინატორთან. პროცესი წარიმართება წინასწარ მომზადებული სიების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილები. აღნიშნული მონაცემები გადაეცემა რკინიგზას, რომელიც ასზე მეტ საწარმოში ინდივიდუალურად არჩევს პრაქტიკის ადგილებსა და ინსტრუქტორებს. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯის კოორდინატორი დაადგენს, რომ კონკრეტულ ობიექტზე რომელიმე სწავლის შედეგი ვერ სრულდება, ხორციელდება სტუდენტის როტაცია სხვა საწარმოში, რაც ადასტურებს პროცესის მაღალ ორგანიზებულობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი", "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", "სავაგონო მეურნეობა", "სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა", "რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", "სარელსო დეფექტოსკოპია", "სარკინიგზო გადაზიდვები" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი", "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", "სავაგონო მეურნეობა", "სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა", "რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", "სარელსო დეფექტოსკოპია", "სარკინიგზო გადაზიდვები" **(დანართი 1).**

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა, გააკეთა განმარტება გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს და 29 მაისამდე გრძელდება პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია საგაზაფხულო მიღების პროგრამებზე, სამინისტრო აძლევს შესაძლებლობას დაწესებულებებს, 19 მაისამდე დასრულებულ ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში, დამატებით ასახონ ანკეტა -კითხვარში უკვე განხორციელების უფლება მინიჭებული პროგრამები , მათ შორის

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მითითებული 7 პროგრამა, და თუ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მომდევნო საკითხების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად, ასევე, მითითებულ იქნას 2026 წლის 15 მაისი.
საბჭოს წევრები დაეთანხმნენ ამ განმარტებას.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 15 მაისი.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ.

მეოთხე საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ, 2026 წლის 18 მარტს გამოცემული 0000330904 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის

შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სტომატოლოგიის ასისტირება“ საფუძველზე კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ დამატების საკითხის შესწავლას. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 3 აპრილს, დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერდა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმდა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა და ფლობის დოკუმენტაცია. განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე და გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა. გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.3 – პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი პრაქტიკული კომპონენტის გავლის ობიექტები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი ინსტუქტორების გადამზადება სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების უზრუნველყოფის საკითხებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ (Dental Assistant, სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0911) წარმოადგენს პროფესიული განათლების მეოთხე დონის პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სტომატოლოგიის ასისტირებაში. საგანმანათლებლო კურსი დამტკიცებულია 2026 წლის 26 თებერვლის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის ბრძანებით №00003788, ხოლო სწავლების ოფიციალურ ენაა ქართული. პროგრამის ფიზიკურ ლოკაციად და განხორციელების მისამართად განსაზღვრულია ქალაქი გორი, ცხინვალის N9-ში მდებარე სასწავლო კორპუსი. აღნიშნული პროგრამა სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმატით. კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და განსხვავდება სტუდენტთა ენობრივი საჭიროებების შესაბამისად, კერძოდ, ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამა მოიცავს 82 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, სავალდებულო სახელმწიფო ენის მოდულების გათვალისწინებით, განსაზღვრულია 112 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალური შესწავლის საფუძველზე სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ჯამურად 40 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ, რაც გულისხმობს ორწლიან ციკლში წელიწადში ერთი მიღების ფარგლებში 20-20 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ „სტომატოლოგის ასისტენტის“ პროგრამა მომზადებულია კოლეჯის დირექტორის სპეციალური ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროგრამის შესამუშავებლად შექმნილმა დარგობრივმა

სამუშაო ჯგუფმა სიღრმისეულად შეაფასა კურსის თავსებადობა კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან, რაც ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვრილის შეტანაზე. ახალი პროგრამის დამატების გადაწყვეტილება მყარად არის არგუმენტირებული, ვინაიდან კოლეჯი 2022 წლიდან წარმატებით ახორციელებდა მსგავს კურსს, ხოლო 2025 წლის კურსდამთავრებულთა კვლევამ აჩვენა, რომ მათი 70%-ზე მეტი დასაქმებულია უშუალოდ სპეციალობის მიხედვით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად სამართლებრივად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა მიღება ხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას, ბიუჯეტსა და მატერიალურ-ადამიანური რესურსების აღწერილობას, რაც სრულად გამორიცხავს შეცდომაში შემყვან ჩანაწერებს და პასუხობს საკანონმდებლო მოთხოვნებს, რის გამოც აღნიშნული კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტის ჭრილში, დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო ბაზით, რაც აკმაყოფილებს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მოდულებზე დოკუმენტურად დაშვებული იყო დისტანციური სწავლება, კოლეჯის ადმინისტრაციამ მკაფიოდ განმარტა, რომ სწავლება სრულად განხორციელდება შენობაში მოწყობილ ერთ სასწავლო A გარემოში (ოთახი 207, გათვლილი 24 სტუდენტზე), ერთ კომპიუტერულ B გარემოში (ოთახი 109, აღჭურვილი 21 კომპიუტერითა და პროექტორით), ასევე პირველადი დახმარების სპეციალიზებულ A/C სივრცესა (ოთახი 103) და C სიმულაციურ გარემოში. პრაქტიკული კომპონენტის რეალურ კლინიკურ გარემოში რეალიზებისთვის, კოლეჯს გაფორმებული აქვს კოოპერაციული ხელშეკრულებები 10 პარტნიორ სტომატოლოგიურ კლინიკასა და სამედიცინო დაწესებულებასთან, რაც ჯამურად ფარავს 70-ზე მეტი პროფესიული სტუდენტის მიღების პრაქტიკულ ტევადობას და სრულად აკმაყოფილებს 40 სტუდენტის მოთხოვნას.

ადამიანური რესურსების ნაწილში, პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი, სადაც 8 პირი ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 13 მასწავლებელი უძღვება ვიწრო დარგობრივ მიმართულებებს, რასაც ემატება ხელშეკრულებით დასაქმებული 32 პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკებში. მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დადგენილ 40 საათს, ხოლო თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა მათი თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. თუმცა, ვინაიდან პროგრამას დაემატა ახალი პრაქტიკის ობიექტები, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს ახალი დარგობრივი ინსტრუქტორების მიზნობრივი გადამზადება სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებში. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი უმაღლესი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც თავად არის ჩართული სწავლებისა და მოდულების ადაპტირების პროცესში. ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტით.

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა სრულად არის უზრუნველყოფილი, ბიბლიოთეკაში არსებული მასალები დამუშავებულია წესების დაცვით, ხოლო ელექტრონული ვერსიები ინტეგრირებულია Google Classroom პლატფორმასა და კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერებითა და ინტერნეტით, ხოლო სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მასალები გადაიტანონ ელექტრონულ მატარებლებზე ან ამოიბეჭდონ. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, გარემო სრულად ადაპტირებულია

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის, რაც მოიცავს შესასვლელ პანდუსს, ფუნქციონირებად ლიფტებს, სათანადო სველ წერტილებსა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ინსტიტუციურ მხარდაჭერას, რაც სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია.
პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები ეფუძნება კოლეჯში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს მჭიდრო კავშირს ხარისხის მენეჯერს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის. ხარისხის შეფასების სისტემა ითვალისწინებს შრომის ბაზრის ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას. პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან მისი გაუქმების პროცედურები მკაცრად არის გაწერილი მეთოდოლოგიაში და უკავშირდება ეროვნული ცენტრის მიერ ჩარჩო დოკუმენტებში შეტანილ ცვლილებებს, აპლიკანტთა მომართვიანობასა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზს, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის განვითარებაზე ორიენტირებულ ციკლს.
სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი სასწავლო გეგმების მიხედვით, სადაც განსაზღვრულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა კვირების მიხედვით. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ინფორმაციის მიწოდება ხდება ოპერატიულად, ელექტრონული არხებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, ხოლო აკადემიური სირთულეების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის გამართული მექანიზმი. სწავლება ეყრდნობა თანამედროვე დარგობრივ ტექნოლოგიებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებას, რაც გამყარებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასკვნითა და დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური უსაფრთხოდ მიმდინარეობის გეგმით. კერძოდ, C სიმულაციურ გარემოში გამოკრულია საინფორმაციო პლაკატები, განთავსებულია სახიფათო და ინფექციური ნარჩენების სეგრეგაციისთვის განკუთვნილი სპეციალური ურნები, ხოლო პრაქტიკის ობიექტებზე მუშაობა დაშვებულია მხოლოდ კლინიკის შინაგანაწესის, უსაფრთხოების ნორმების გაცნობისა და ინსტრუქტორის უშუალო ზედამხედველობის პირობებში.
სტუდენტთა შეფასების სისტემა აგებულია ვალიდურობის, სანდოობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე, სადაც შეფასების ინსტრუმენტების ხარისხს გამოყენებამდე ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი. სწავლის შედეგების დადასტურების ან ვერდადასტურების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად, მათი შემდგომი განვითარების მიზნით. ხარისხის მართვის სისტემა ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, რაც ხორციელდება შერჩევითი პრინციპით, მათ შორის სტუდენტის მიერ შედეგების გასაჩივრებისას, დამწყები მასწავლებლის ფაქტორის გამოვლენისას ან მოდულში უარყოფითი შეფასებების ანომალიური მაჩვენებლების დაფიქსირებისას. საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისად, შეფასების მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას, ინახება კოლეჯში 3 წლის ვადით, ხოლო სტუდენტთა შეფასების საბოლოო ოფიციალური უწყისები კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „სტომატოლოგის ასისტენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, დავით კუპატაძეს. მან აღნიშნა, რომ საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირებულია განმავითარებელი შეფასება ინსტრუქტორთან დაკავშირებით, სადაც გაცემულია რეკომენდაცია სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით პერსონალის

გადამზადების შესახებ. საბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება, ხომ არ ნიშნავდა აღნიშნული ჩანაწერი ძველი ინსტრუქტორების ჩანაცვლებას ახლით და რამდენად სწრაფად იყო საჭირო ამ ახალი კადრის ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში. ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ, განმარტა, რომ კოლეჯმა გააფართოვა პარტნიორული ქსელი და დაამატა ახალი სტომატოლოგიური კლინიკები (სულ დაწესებულებას 10 პარტნიორი ორგანიზაცია ჰყავს). რეკომენდაცია შეეხება მხოლოდ ახლად დამატებულ ორგანიზაციებში გამოყოფილ ორ ინსტრუქტორს, რომელთაც ესაჭიროებათ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დეტალური გაცნობა. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე აღნიშნული საკითხი რისკს არ წარმოადგენს, ვინაიდან ახალი ინსტრუქტორების ჩართულობა დღის წესრიგში დადგება მხოლოდ მომავალში, როდესაც მიღებული ნაკადი სწავლების მეორე კურსზე (პრაქტიკულ ფაზაზე) გადავა. ამასთანავე, მოქმედი პარტნიორები, რომელთაც დისტანციურად და სატელეფონო კომუნიკაციით დაუკავშირდნენ, სრულყოფილად ფლობენ სწავლება-შეფასების ყველა საჭირო მექანიზმს.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ ითხოვა განმარტება ექსპერტის პრეზენტაციაში არსებულ იმ ჩანაწერთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც პროგრამაში ცვლილებების შეტანაზე პასუხისმგებელ პირად დირექტორია მითითებული. საბჭოს წევრმა იკითხა, თავად დირექტორი ახორციელებს ცვლილებებს თუ რა იგულისხმება აღნიშნულ დებულებაში. დავით კუპატაძემ დააზუსტა, რომ იგულისხმება პროგრამის დამატების, განხორციელებისა და ცვლილებების შეტანის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძოდ, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, აღნიშნული ჯგუფი ახორციელებს შეფასებას, წარუდგენს დირექტორს დასკვნას, ხოლო დირექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ბრძანებით ამტკიცებს შესაბამის ცვლილებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დანერგილია, და ექსპერტს სთხოვა დაესახელებინა თუნდაც ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ხარისხის სამსახურის მიერ გამოვლენილმა ხარვეზმა რეალური ცვლილება გამოიწვია პროგრამაში. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ თუ მსგავსი მტკიცებულება არ არსებობს, ბუნდოვანია, რაზე დაყრდნობით კეთდება დასკვნა სისტემის ქმედითობის შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტმა განმარტა, რომ ხარისხის სამსახურის მუშაობა დადასტურებულია შესაბამისი შეხვედრის ოქმებითა და შიდა დასკვნებით. თუმცა, ვინაიდან დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას 2022 წლიდან წარმატებით ახორციელებდა და მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება მხოლოდ მის ახალ პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას (მოდიფიცირებას) გულისხმობდა, შიდა რეცენზირების ეტაპზე რაიმე არსებითი ხარვეზი ან რადიკალური ცვლილების საჭიროება არ გამოვლენილა. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა, ნინო დვალმა, დაამატა, რომ ახალი პროფესიული სტანდარტის შემუშავების პროცესში კოლეჯი მჭიდროდ და აქტიურად თანამშრომლობდა უწყებებთან და სააგენტოსთან, რა დროსაც სწორედ დაწესებულების ინიციატივითა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით სტანდარტში უამრავი მნიშვნელოვანი ნიუანსი და ცვლილება იქნა გათვალისწინებული. დაწესებულებას გააჩნია შიდა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის არაერთი დოკუმენტირებული ოქმი.

თავმჯდომარემ დასვა მომდევნო კითხვა პერსონალის შეფასებისა და შერჩევის წესის შესახებ და იკითხა, რამდენად შეესაბამებოდა შერჩევის რეალური პროცესი კოლეჯის მიერ დადგენილ ვაკანსიის მოთხოვნებს და მოხდა თუ არა პროცესის ადგილზე ვერიფიკაცია. დავით კუპატაძემ უპასუხა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს საჯარო ვაკანსიების განცხადებები (სქრინების სახით) და პირადი საქმეები, რაც სრულ შესაბამისობაშია შიდა რეგულაციებთან. ასევე, ინტერვიუ ჩაუტარდა ბოლო პერიოდში აყვანილ პედაგოგს, რომელმაც დაადასტურა კონკურსის გამჭვირვალობა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, შედგა თუ არა გასაუბრება უშუალოდ პროგრამის სტუდენტებთან, ვინაიდან პროგრამის მოდიფიცირების მიუხედავად, კოლეჯს სტუდენტთა მოქმედი ნაკადი ჰყავს. დავით კუპატაძემ განმარტა, რომ ვინაიდან საკითხი განიხილებოდა როგორც ახალი პროგრამის დამატება, სტუდენტებთან სიღრმისეული გასაუბრება დღის წესრიგით წინასწარ არ ყოფილა დაგეგმილი, თუმცა ზოგადი შეხვედრა მაინც შედგა. სტუდენტები გამოხატავენ სრულ კმაყოფილებას დაწესებულების, პერსონალისა და პროგრამის მიმართ, ასევე აქვთ დასაქმების იმედი. ელენე კაკაბაძის კითხვაზე, ხომ არ დასმულა შეკითხვები მხარდაჭერის სერვისების, უფლებების დაცვის მექანიზმებისა თუ კმაყოფილების კვლევების რეალისტურობის შესახებ, ექსპერტმა უპასუხა, რომ საუბარი შეეხო ყველა მიმართულებას, თუმცა დეტალები დასკვნაში არ ასახულა. მან ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტების მხრიდან რაიმე სახის პრეტენზია ან საწინააღმდეგო პოზიცია არ დაფიქსირებულა. ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის მხოლოდ დოკუმენტური ციტირება (რომელიმე მუხლზე მითითება) არ არის საკმარისი, ვინაიდან საბჭოს ინტერესს წარმოადგენს არა მშრალი ინფორმაცია, არამედ ადგილზე არსებული რეალური შინაარსობრივი პროცესების შესწავლა, რისი ასახვაც საექსპერტო შეფასებებში აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგის ასისტენტი“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 15 მაისი.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ანა არუშიძემ.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ბუთხუზი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 12 მარტის N305145 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. სსიპ კოლეჯ ,,ბლექსიში“ ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 მარტს ქალაქ ბათუმში (მის: ქ. (მის.: ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა, № 92ა). ვიზიტის დღეს ავტორიზაციის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციიის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი.
აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება სრულად ეთანხმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0712) შეესაბამება მეხუთე დონეს. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში პირს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში. იგი ხორციელდება ქართულ ენაზე, ქალაქ ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა №92ა-ში მდებარე სასწავლო კორპუსში. სწავლების ფორმად განსაზღვრულია კოოპერაციული მოდელი, ხოლო კრედიტების მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 120 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის – 150 კრედიტს. კოლეჯში ამჟამად ირიცხება 38 აქტიური სტუდენტი, ხოლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურებული პროფესიულ სტუდენტთა ახალი ზღვრული რაოდენობა კოოპერაციული სწავლების ფორმატისთვის განისაზღვრა 80 ადგილით, რაც ნიშნავს კვოტის დამატებით 40 ადგილით გაზრდას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების სტანდარტის მიხედვით, კოლეჯის გადაწყვეტილება სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ მყარად არის დასაბუთებული და ეფუძნება შრომის ბაზრის კომპლექსურ ანალიზს. კერძოდ, კოლეჯმა შეისწავლა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022–2024 წლების კვლევები და აჭარის რეგიონში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დოკუმენტები, რამაც დაადასტურა ამ პროფილის სპეციალისტების მკაფიო დეფიციტი, რაც გამოწვეულია იმ საკანონმდებლო ვალდებულებებით, რომლებიც ყველა ორგანიზაციას ავალდებულებს შრომის უსაფრთხოების კადრების ყოლას. პროგრამის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი განსაკუთრებით მაღალია, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ 2021–2025 წლებში სწავლის სურვილი 489 აპლიკანტმა გამოთქვა, საიდანაც ადგილების სიმცირის გამო მხოლოდ 116 ჩაირიცხა, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი შთამბეჭდავ 72,85%-ს შეადგენს. 2025 წლის საშემოდგომო მიღებისას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტესტირებაში მინიმალური ბარიერი 71-მა მსურველმა გადალახა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კვოტის გაზრდის მიზანშეწონილობას.

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჭრილში, კოლეჯმა წარმატებით უზრუნველყო ინფრასტრუქტურის გაფართოება გაზრდილი სტუდენტური ნაკადის მისაღებად. არსებულ ბაზაზე ფუნქციონირებდა 24 სტუდენტზე გათვლილი ერთი AC გარემო და 25 კომპიუტერით აღჭურვილი ერთი B გარემო, ხოლო კვოტის გაზრდის მიზნით პროგრამისთვის დამატებით მოეწყო და სრულად აღიჭურვა მესამე – სასწავლო A გარემო, რომელიც გათვლილია კიდევ 20 სტუდენტზე. სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია პერსონალის და სტუდენტების შესაბამისი ავეჯით, დაფებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებებითა და მრავალფუნქციური საბეჭდი აპარატურით. პროგრამის ფარგლებში ორი მოდული (ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები; ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი) ხორციელდება ნაწილობრივ დისტანციური ფორმატით Zoom-ისა და Microsoft Teams-ის პლატფორმების გამოყენებით, რაც რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური წესით. აღნიშნული ფორმატის ეფექტურობა და სტუდენტთა მაღალი კმაყოფილება დადასტურდა როგორც შიდა გამოკითხვების ანალიზით, ისე ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუებით.

კოოპერაციული სწავლების პრაქტიკული კომპონენტის მისაღწევად კოლეჯს მყარი პარტნიორული კავშირები აქვს ჩამოყალიბებული, რაც სრულად ფარავს გაზრდილ სტუდენტთა რაოდენობას დამატებითი ობიექტების მოძიების საჭიროების გარეშე. გაფორმებულია 10 გრძელვადიანი ხელშეკრულება წამყვან ორგანიზაციებთან, მათ შორის შპს „ბათუმი თაუერთან“ (სასტუმრო ლე მერიდიენ ბათუმი), შპს „რეალ პალასთან“, შპს „ბანასთან“, შპს „ელიტ კონსტრაქშენთან“, და სხვა. აღნიშნულ პარტნიორებს ერთდროულად 58

პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლიათ, ხოლო პროგრამის ორწლიანი სტრუქტურიდან გამომდინარე, საწარმოო პრაქტიკაზე ერთდროულად მაქსიმუმ 40 სტუდენტის გასვლაა ნავარაუდევი. კლინიკურ და საწარმოო ბაზებზე ვიზიტისას სტუდენტებს უტარდებათ საფუძვლიანი ინსტრუქტაჟი, კომპანიების უსაფრთხოების სამსახურები აცნობენ მათ შიდა რეგულაციებს და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისად უზრუნველყოფენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რაც დადასტურდა ექსპერტთა მიერ შპს „ანაგის“ ობიექტის პირდაპირი ვიზუალური დათვალიერებით.
ადამიანური რესურსების მდგრადობა დაცულია. სასწავლო პროცესში ჩართულია 28 კვალიფიციური პედაგოგი, რომელთაგან 10 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 18 – სპეციალიზებულ პროფესიულ მოდულებს. სტუდენტთა რაოდენობის მატების პარალელურად, კოლეჯმა ხელშეკრულებები გააფორმა დამატებით 10 მასწავლებელთან, რომელთაგან 6 პირი სწორედ ამ პროგრამის 2025 წლის წარმატებული კურსდამთავრებულია. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას და იძლევა კადრების ჩანაცვლების შესაძლებლობას, ამასთან, მასწავლებელთა დატვირთვა მკაცრად კონტროლდება და არ აღემატება კვირაში 40 საათს. სისტემაში ახლად შესული პერსონალისთვის კოლეჯი სავალდებულო წესით უზრუნველყოფს სპეციალიზებულ ტრენინგ კურსს „კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში“, რაც უზრუნველყოფს შეფასების მაღალ ხარისხს. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომელიც სრულად ახორციელებს კურსის ადაპტირებას, პერსონალის შერჩევასა და ხარისხის მონიტორინგს.

საგანმანათლებლო რესურსებისა და ინკლუზიური გარემოს ხელმისაწვდომობა პასუხობს საავტორიზაციო მოთხოვნებს. მოდულებით გათვალისწინებული ლიტერატურის უმრავლესობა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე ელექტრონული წიგნების კატალოგის სახით. სტუდენტებს აქვთ ტექნიკური საშუალება სასწავლო მასალების ელექტრონულ მატარებლებზე გადასატანად ან ამონაბეჭდების მისაღებად. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, კოლეჯის მარეგულირებელი წესები დეტალურად განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ადაპტაციის მექანიზმებს. კოლეჯის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს შშმ პირთა თავისუფალ გადაადგილებასა და სრულ წვდომას აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან, ადმინისტრაციულ სივრცეებთან და სპეციალიზებულ სანიტარულ კვანძებთან. ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება ერთი სსსმ სტუდენტი, რომელიც წარმატებით არის ინტეგრირებული და არ საჭიროებს ინდივიდუალური გეგმის შექმნას.
,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია სულ 6 სტუდენტის ჩარიცხვით, რაც სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის პირობებში სრულად გამორიცხავს ფინანსურ რისკებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტს, ეკა ბუთხუზს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და დასვა შეკითხვა საექსპერტო დასკვნაში დაფიქსირებულ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ორი მოდული ნაწილობრივ დისტანციურ ფორმატში ხორციელდება. თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ წარმოადგენდა სწავლების დისტანციური ფორმატი სტუდენტთა კვოტის გაზრდის ერთ-ერთ

არგუმენტს და რამდენად უზრუნველყოფს Zoom პლატფორმა შრომის უსაფრთხოების სპეციფიკური უნარების სათანადოდ გამომუშავებას აღნიშნულ მოდულებში.
დარგის ექსპერტმა, ხათუნა ჩომახიძემ, განმარტა, რომ კვოტის გაზრდის ძირითადი მოტივი რეგიონულ ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნაა. კანონმდებლობა ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს (დაბალი, საშუალო თუ მაღალი რისკის ობიექტებს) ავალდებულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლას, რის გამოც აჭარის რეგიონში კადრების დეფიციტია. დისტანციურ რეჟიმში გადატანილია მხოლოდ თეორიული ხასიათის მოდულები (შესავალი შრომის უსაფრთხოებაში და მენეჯმენტი), რაც ამ ფორმატში სრულებით დასაშვებია. მიუხედავად ამისა, პედაგოგი პერიოდულად ჩადის ადგილზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ზოგადად არ ემხრობა აღნიშნული პროფილის პროგრამების ონლაინ განხორციელებას, ვინაიდან დარგი საჭიროებს მაღალ პრაქტიკულ ჩართულობას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში რისკი არ იკვეთება.
პერსონალის მდგრადობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას დაემატა 10 ახალი მასწავლებელი, რომელთაგან 6 ამავე კოლეჯის კურსდამთავრებულია (რესურსის 60%). ელენე კაკაბაძემ იკითხა, პროგრამის მდგრადობისა და ხარისხის შენარჩუნების კუთხით რამდენად გამართლებულია გამოუცდელი კადრების ასეთი წილით შემოყვანა ისეთ საპასუხისმგებლო დარგში, როგორიც შრომის უსაფრთხოებაა. ხათუნა ჩომახიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ პირებს აქვთ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, მათ შორის სხვა კოლეჯებშიც, და წარმოადგენენ მოქმედ პრაქტიკოსებს. ექსპერტთა ჯგუფი სათითაოდ გაესაუბრა თითოეულ მათგანს და მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე სრულებით დამაჯერებელი აღმოჩნდა. პერსონალი პარალელურ რეჟიმში დასაქმებულია სხვადასხვა კომპანიებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებად, რის გამოც მათი ჩართვა სასწავლო პროცესში მისასალმებელია. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ კოლეჯი პროგრამას 2021 წლის შემდეგ ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ კვოტის გაზრდის მოთხოვნა ადრეც არსებობდა, დაწესებულება ამ ნაბიჯს მაღალკვალიფიციური კადრების მობილიზებამდე არ დგამდა. შერჩეულ იქნენ მხოლოდ ისეთი კურსდამთავრებულები, რომელთაც სასწავლო პროცესშივე გამოიჩინეს თავი და პრაქტიკოსები არიან. კოლეჯის სტრატეგიით, პირველ სასწავლო წელს ახალი პედაგოგები, მათი მხარდაჭერისა და გამოცდილების დაგროვების მიზნით, მხოლოდ თითო მოდულს წაიკითხავენ, ხოლო მათი შემდგომი დატვირთვა ეტაპობრივად მოხდება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ჩანაწერის დაზუსტება აუცილებელი იყო, რათა გარკვეულიყო, თუ როგორ უთავსებდნენ პრაქტიკოსები საწარმოო საქმიანობას კოლეჯის საათებს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოწვეულნი არიან მხოლოდ თითო-ორ მოდულზე (მაგალითად, რისკების ნაწილს ასწავლის ერთი, ხოლო წყლისა და ჰაერის მოდულებს – მეორე), რაც განპირობებულია ამ კვალიფიკაციის პირთა მაღალი დასაქმების მაჩვენებლით ბაზარზე.

ელენე კაკაბაძემ დასვა მომდევნო შეკითხვა ფინანსური მდგრადობისა და ფინანსური გათვლების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში პროგრამის რენტაბელობის მინიმალურ ზღვრად 6 სტუდენტია მითითებული. თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ არის აღნიშნული ციფრი ხელოვნურად შემცირებული, ვინაიდან შრომის უსაფრთხოების პროგრამა მოითხოვს სპეციფიკურ, ძვირადღირებულ სახარჯ მასალებსა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, და რამდენად რეალურია 6 სტუდენტის პირობებში ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯეტის გაანგარიშება ეყრდნობა დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას. მცირე კონტინგენტის (6 სტუდენტი) შემთხვევაში, სახელმწიფო ვაუჩერის დაფინანსება მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე, რაც

ზრდის თითოეულ მსმენელზე გამოყოფილ ფინანსურ რესურსს. ეს მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და ხარისხის სტანდარტების დაცვას, რაც სხვა პროგრამების ბიუჯეტირებისასაც არის აპრობირებული.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა დააზუსტა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევებსა და დასაქმების მაჩვენებლებს, და შედგა თუ არა დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრა უშუალოდ კურსდამთავრებულებთან. ეკა ბუთხუზმა უპასუხა, რომ დღის წესრიგით კურსდამთავრებულებთან ცალკე ინტერვიუები დაგეგმილი არ ყოფილა, თუმცა ექსპერტები გაესაუბრნენ მათ, როგორც მოწვეულ ახალ პედაგოგებს. ასევე გამოიკითხნენ პარტნიორი ორგანიზაციები (მაგ. კომპანია „ანაგის“ წარმომადგენელი), რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმება ადგილზე. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული შიდა კვლევების დოკუმენტაციაში დაფიქსირებულია სტუდენტთა სრული კმაყოფილება როგორც პრაქტიკის ობიექტების, ისე სწავლების ხარისხის მიმართ და რაიმე არსებითი ხარვეზი ან გასაუმჯობესებელი ღონისძიება გამოკვეთილი არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში კმაყოფილების კითხვარები ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან რეალურ პროცესებში გამორიცხულია ყველა პირი თანაბრად კმაყოფილი იყოს. აღინიშნა, რომ კვლევებში ხშირად არ აისახება რეალური საჭიროებები.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ დასვა შეკითხვა დარგის სპეციალისტების სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სპეციალისტების საქმიანობა საკმაოდ აქტიურია, რის გამოც საინტერესოა, თუ როგორ არის გათვლილი კოლეჯის მიერ სასწავლო ცხრილის სტაბილურობა და პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებული რისკები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯმა აღნიშნული რისკი პროგრამის დაწყებისთანავე, 2021 წელსვე გააცნობიერა. პერსონალის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად შემოღებულია მოდულების ვიწრო სპეციალიზაცია. მაგალითად, კონკრეტულ თეორიულ მოდულებს პედაგოგი დისტანციურად კითხულობს, ხოლო საწარმოო მოდულებზე სხვადასხვა პირები არიან გადანაწილებულები. მოდულები დროში არ ემთხვევა ერთმანეთს და ცხრილი სტაბილურია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის

№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ,,ბლექსს“ (ს/კ: 245610398) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიები“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 15 მაისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:52 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გიგაშვილი ეკატერინე

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებასა და რემონტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სავაგონო მეურნეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სავაგონო მეურნეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სარელსო დეფექტოსკოპია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარელსო დეფექტოსკოპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სარკინიგზო გადაზიდვები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო გადაზიდვებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 სს საქართველოს რკინიგზა - ქ. თბილისი, თამარ მეფის № 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	45
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგის ასისტენტი - Dental Assistant
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სტომატოლოგიის ასისტირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი გორი, ცხინვალის N9
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	112

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა N 92ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150